## 4. თანამშრომლობა ბილინგვური სწავლების პროცესში

წიგნისესნაწილიბილინგვურისწავლებისპროცესშიმოსწავლეთა თანამშრომლობას ეძღვნება. როგორც უკვე მრავალჯერ ვახსენეთ, მას ბილინგვური სწავლების პროცესის წარმატებულ რეალიზებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს. ბილინგვური სწავლების პროცესის წარმატებული რეალიზებისთვის აუცილებელია თანამშრომლობა მოსწავლეებს შორის, ასევე, მასწავლებლებს შორის და მოსწავლეთა და მასწავლებლებს შორის.

აუცილებელია,რომამთანამშრომლობისმნიშვნელობალატვიაში ბილინგვური განათლების მთავარმა რეალიზატორებმა გაიაზრონ: ლატვიური ენის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლებმა და სხვა საგნების მასწავლებლებმა ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში. ბილინგვური სწავლების პროცესის წარმატებული რეალიზება შეუძლებელია მანამ, სანამ თითოეული მასწავლებელი მხოლოდ თავისსაგანსუღრმავდებადაიმისშემდეგ,როცაიგიგადისკლასიდან, არ ინტერესდება რომელიმე კონკრეტული კლასის მდგომარეობით, არ იქნება ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რას და როგორ სწავლობენ მოსწავლეები სხვა გაკვეთილებზე, განსაკუთრებით ლატვიური ენის, როგორც მეორე ენის, გაკვეთილებზე. რამდენიმე საგნის ლატვიურ ენაზე სწავლის დაწყების შემდეგ იზრდება მოსწავლის დატვირთვა. მასწავლებლებისთვის სასარგებლო იქნებოდა, ხშირად შეიკრიბონ და ისაუბრონ იმაზე, თუ რას სწავლობენ კონკრეტული კლასის მოსწავლეები თითოეულ საგანში. ასეთი სახის ინფორმაციის გაცვლა აუცილებლად შეუქმნის მათ სამუშაოს ერთმანეთში შეთანხმებისა და გაიოლების საფუძველს. ასევე, მასწავლებლებს შეუძლიათ ერთმანეთის გაკვეთილებს დაესწრონ, რათა მოსწავლეების ენის ცოდნის დონეში დარწმუნდნენ. ეს თანამშრომლობა მომგებიანი იქნება მასწავლებლისთვისაც, რადგანაც „კოლეგებს შორის თანამშრომლობა ახალი ცოდნის

შეძენას უწყობს ხელს და აფართოებს თითოეული მასწავლებლის წარმოდგენას თეორიის და პრაქტიკის გაკვეთილებზე შეფარდების შესახებ“ (ლ. ცირულე, გ.ოსე. მასწავლებლების თანამშრომლობა. LVAVP, UNDP, 2000 წელი).

ჩვეულებრივი დახმარება არ ნიშნავს თანამშრომლობას (რაც, რა თქმა უნდა ასევე აუცილებელია), ეს არის სამუშაო პროცესის ურთიერთშეთანხმება და კოლეგისთვის სასწავლო გეგმის დარეგულირებაში დახმარება. თუ მოსწავლეები ვერ ხედავენ, რომ მასწავლებლები გუნდურად მუშაობენ, ვერც თვითონ ისწავლიან ამას.

მასწავლებლების წარმატებული თანამშრომლობის საფუძვლები და წინაპირობები უფრო დაწვრილებითაა აღწერილი LVAV-ის მეთოდოლოგიურ გამოცემაში „მასწავლებლების თანამშრომლობა“ (ავტორები ლიგა ცირულე და გერდა ოსე).

## თანამშრომლობის წაქეზების გაკვეთილი

ჯ. შილსის წიგნის „კომუნიკაცია უცხო ენის სწავლებაში“ მიხედვით.

**თანამშრომლობის მნიშვნელობა.** თანამშრომლობა უნდა განიხილებოდეს როგორც საშუალება, რომელიც მოსწავლეთა ურთიერთკონტაქტს უზრუნველყოფს, იგი სწავლების სოციალური მხარეა. მოსწავლე სწავლების პროცესში ერთვება, მატულობს მისი თვითშეგნება და თავდაჯერება, იგი მზად არის რისკისთვის, რადგანაც კლასში დადებითი სოციალურ ემოციური ატმოსფერო სუფევს.

ასეთი მიდგომისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას, რომლის ცენტრშიც მოსწავლეა მოქცეული, უპირველეს ყოვლისა, გააზრება სჭირდება, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს თანამშრომლობა ვიწრო გაგებით. ეს არა მხოლოდ საუბარს ითვალისწინებს, არამედ კომპლექსურ მიდგომას ყველა უნარის ასათვისებლად. მაგალითად, შესაძლებელია, ტექსტი თითოეულმა მოსწავლემ დამოუკიდებლად წაიკითხოს, ხოლო შემდგომ წყვილებში განიხილონ იგი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყონ იმავეს უფრო დიდ ჯგუფებში კეთება და საბოლოოდ მთელმა კლასმა ერთად განიხილოს. წერითი სავარჯიშოები (მაგალითად, კონსპექტების, მიმოხილვის, დასკვნის, პირადი შთაბეჭდილებების

აღწერის) დაწყება ნებისმიერ საფეხურზე შეიძლება. წაკითხვის ან მოსმენის წინ შესაძლებელია თემის ზოგადად განხილვა, რათა მოსწავლეებს გავაცნოთ და გავუღვივოთ ინტერესი.

ჯგუფებში და წყვილებში მუშაობა მოსწავლეებს შორის თანამშრომლობას ზრდის და მასწავლებლის მთელ კლასთან საუბრის აუცილებლობის დროს ამცირებს. თანამშრომლობის გამოყენებით სწავლება მოსწავლეს აყენებს ყურადღების ცენტრში და 180 გრადუსით ცვლის კლასიკური სწავლების მოდელს, როცა მასწავლებელი იწყებს საუბარს, მოსწავლე მას პასუხობს, შედეგად მასწავლებელი მის პასუხს აფასებს.

ჯგუფში მუშაობის მოწინააღმდეგეები გვაფრთხილებენ, რომ ჯგუფში მუშაობა ამცირებს მასწავლებლის უნარს, მოსწავლის აზრს მიადევნოს თვალყური, რამაც შედეგად შეცდომების განმტკიცება შეიძლება გამოიწვიოს. ისინი, ასევე, ორგანიზაციულ და ხანმოკლე სირთულეებზე მიგვითითებენ, რომლებიც წყვილებში და ჯგუფებში მუშაობის დროს იქმნება.

მიუხედავად საფუძვლიანი ეჭვებისა, მცირერიცხოვან ჯგუფებში მუშაობა ნებისმიერი საგნისთვის და, განსაკუთრებით, ენის შესასწავლად - უაღრესად მნიშვნელოვანია. გასათვალისწინებელია კომუნიკაციური სწავლების ფართო შესაძლებლობები: უშუალო გარემო, თავისუფლება და მოსწავლეთა ჩართულობა, ასევე, დავალებების დიფერენციაციის შესაძლებლობა. როგორც ბრამფიტი აღნიშნავს, „... მცირერიცხოვან ჯგუფში იქმნება ბუნებრივი დიალოგისთვის უკეთესი პირობები, ვიდრე კლასის ორგანიზების ნებისმიერი სხვა ხერხის გამოყენების დროს (თუ ჩვენ წყვილებში მუშაობას ჯგუფში მუშაობასთან გავაერთიანებთ) - მოსწავლეების ორგანიზების ეს მოდელი, მასწავლებლისთვის მისაწვდომი მეთოდებიდან, ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი და პოზიტიური, ამასთან, ინტეგრირების შესაძლებლობის მომცემია“ (ბრამფიტი მიიჩნევს, რომ ჯგუფში სამუშაო შეიძლება სავარჯიშოებზე იყოს კონცენტრირებული, რაც ავითარებს როგორც ***სწორად,*** ასევე ***თავისუფლად*** მეტყველების უნარს. მას შეუძლია სწორად მეტყველების უნარის განვითარების სწავლების ეფექტურობის გაზრდაც და მოსწავლეებს ჯგუფურად ორგანიზებული სამუშაოს შეგუებაშიც დაეხმარება იმ დონემდე, რომ მათ შეძლონ თავისუფალი მეტყველებისსავარჯიშოებისშესრულებაერთობლივად. პოზიტიურ შედეგს აძლიერებს მასწავლებელი „ჩარევით“ (არაფორმალური სწავლებით), თითოეულ ჯგუფთან მისვლით, რაც მოსწავლეებს ენის ცოდნის ფასეულ ინფორმაციას აძლევს.

ეს არ გულისხმობს, რომ კომუნიკაციური მეთოდით სწავლების

დროს ყოველ გაკვეთილში უნდა შევიტანოთ წყვილებში და ჯგუფებში მუშაობის ელემენტი. ეს ამ მიდგომის მხოლოდ ერთი კომპონენტია, რომელიც მოწაფეზეა ორიენტირებული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და ბევრი მას აუცილებლად მიიჩნევს, რადგანაც მხოლოდ ურთიერთობის პროცესში, ფუნქციონალური სავარჯიშოების შესრულების დროს, მოსწავლე იგებს, როგორ არის შესაძლებელი მისი შეზღუდული (პასიური) ცოდნის გამოყენება და გაფართოება.

მიუხედავად იმისა, რომ მცირერიცხოვან ჯგუფებში მუშაობა ძველი ტრადიციაა და ეს ჩვეულებრივი სწავლის პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიცაა, შესაძლებელია, მაინც შეიქმნას სიტუაციები, რომელთაც შემდგომ ყოველგვარი სიახლის მიმართ ფსიქოლოგიური ბარიერი წარმოშვას. შემდგომ ტექსტში მცირერიცხოვან ჯგუფებში მუშაობის დროს შესაძლებელი სიტუაციებია ჩამოთვლილი და იქვე – წარმოქმნილი სირთულეების გადალახვისთვის გამოსადეგი ხერხები.

**ჯგუფში მუშაობის ნაკლოვანებები. საორგანიზაციო სირთულეები:**

- ძალიან მრავალრიცხოვანი კლასი (ქაოსის საფრთხე);
- შეუსაბამო საკლასო ოთახი (ძალიან პატარა, შეუძლებელია სკამების გადაადგილება);
- ხმაური (სხვა კლასებში გაკვეთილებს უშლის ხელს; შესაძლებელია დისციპლინის პრობლემები წარმოიშვას);
- ხანგრძლივი მზადების პერიოდი (დიდი დრო იკარგება გაკვეთილის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის; შესაძლებელია არ იყოს საკმარისი დრო);
- სასწავლო მასალებში არ არის შესაბამისი სავარჯიშოები (მასწავლებელი ზედმეტად დატვირთულია ან არ შესწევს უნარი მასალა თვითონ შეადგინოს);
- თუ მასალა მრავალ კლასში გამოიყენება (დასარიგებელი მასალა, ბარათები და ასე შემდეგ), იგი შეიძლება აირიოს და შეიქმნას გაუგებრობა, რომელიც შეყოვნებას გამოიწვევს;
- შეუძლებელია ყველა წყვილის ან ჯგუფის გაკონტროლება, ამიტომ შეუძლებელია შეცდომების გასწორება.

**სირთულეები, რომლებიც მოსწავლეებს ექმნებათ:**

- თუ მოსწავლეები შეჩვეულნი არიან მუდმივად მასწავლებლის ხელმძღვანელობით მუშაობას, მათ არ იციან ერთმანეთთან თანამშრომლობა;
- მოსწავლეებს სასაცილო და სულელური ეჩვენებათ სავარჯიშოებში სასწავლო ენის გამოყენება (ბოლოს და ბოლოს, მასწავლებელიც გაკვეთილებზე ამ ენას იშვიათად იყენებს);
- მოსწავლეებს არ გააჩნიათ სწავლების ენის საკმარისი ცოდნა (ან მათ თვითონ ეჩვენებათ, რომ არ აქვთ საკმარისი ცოდნა), რათა სავარჯიშოების შესრულება შესაძლებელი იყოს. ასევე, საუბარი წყდება ან გძელდება მშობლიური ენის გამოყენებით;
- ზოგიერთი მოსწავლე ძალიან მორცხვია ან ნერვიულობს, როცა აუდიტორიის წინ უნდა წარდგეს;
- მოსწავლისთვის გაუგებარია, კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს;
- ზოგიერთი მოსწავლე სარგებლობს სიტუაციით, რათა კომუნიკაცია დაარღვიოს;
- ზოგიერთი მოსწავლე დავალებებს სხვებზე სწრაფად ასრულებს, ამიტომ იწყენს და სხვებს უშლის ხელს მუშაობაში.

**ჯგუფში მუშაობის ორგანიზების რამდენიმე ხერხი.**

საკლასო ოთახის ისე მოწყობა, რომ ავეჯის გადაადგილება საჭიროების მიხედვით გაადვილდეს. შესაძლებელი სირთულეების აცილება გაკვეთილის ზუსტად დაგეგმვის გზითაც შეიძლება. შემდგომ ჩამოთვლილი ხერხები მასწავლებლების ფანტაზიისა და გამოცდილების შედეგად შეიქმნა.

***სასწავლო ოთახის მოწყობა***

შემთხვევებში, როცა ავეჯი იატაკზეა დამაგრებული, მასწავლებელს, რომელიც მზადაა, მცირე უწესრიგობას შეეგუოს, შეუძლია მოსინჯოს მოსწავლეების ასეთი ხერხით დაჯგუფება:

- ზოგიერთი მოსწავლე ერთმანეთს უცვლის ადგილებს, რაც ჯგუფებით ვარირების მეტ შესაძლებლობას იძლევა;

- მოსწავლეები რიგებს შორის თანამშრომლობენ (თუ რიგებს შორის დაშორება მცირეა);
- მოსწავლეები ჯგუფების მიხედვით იატაკზე სხდებიან.

ჯგუფის შედგენის ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი ხერხი განსაკუთრებით ხელსაყრელია მოზარდებთან მუშაობის დროს.

იმ შემთხვევებში, როდესაც ავეჯის გადაადგილება შესაძლებელია:

- შეიძლება მაგიდების ოთხკუთხედებად (კვადრატებად) შეერთება;
- დიდ ჯგუფებში მაგიდების გაერთიანება ოვალის, წრის ან ნახევარ წრის ფორმით შეიძლება. სკამების განლაგება ამ კონსტრუქციის შიგნითაა შესაძლებელი. მათი მაგიდებისკენ მარტივად მიბრუნება შეიძლება, თუ წერითი სამუშაოს შესრულების აუცილებლობა გაჩნდა.
- ოთხკუთხედის ან წრის შიგნით მოსწავლეებს შეუძლიათ თავისუფლად განლაგნენ, ისე რომ მაგიდების განლაგება არ გაიმეორონ.

### *ჯგუფის ხელახლა გადანაწილება, გადახალისება*

ჯგუფების ხელახლა გადანაწილება გაკვეთილს უფრო საინტერესოს ხდის. გაკვეთილზე, რომელსაც 25 მოსწავლე ესწრება, მოსწავლეები 5 კაციან ჯგუფებად იყოფა და თითოეულ მოსწავლეს ასო ერქმევა: A,B,C,D,E. როგორც კი პირველი ჯგუფი სავარჯიშოს ასრულებს, ახალი ჯგუფები უნდა შედგეს. ყველა A (B,C,D,E) მოწაფე ახალ ჯგუფში ერთიანდება და წინა ჯგუფში სამუშაოს შედეგების შესახებ უყვებიან ერთმანეთს. ასე ხდება ინფორმაციის შემდგომი გაცვლა. ასეთი ხერხით ყველაზე პასიური მოსწავლეებიც კი იძულებულნი ხდებიან, ყურადღებით მოისმინონ და სამუშაო პროცესში ჩაინიშნონ შენიშვნები, რათა შემდგომ ახალ ჯგუფს აცნობონ შესრულებული სამუშაოს შესახებ.

ამ ხერხს მოსმენის და კითხვის გაკვეთილებზე მიმართავენ მოზაიკის პრინციპის გამოყენებით. პირველ რიგში თითოეული ჯგუფი მუშაობს ტექსტზე, რომელიც დავალების შესრულებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილს შეიცავს. შემდეგ ჯგუფის წევრები გადაადგილდებიან და ახალ ჯგუფებს ქმნიან, რომელთა შემადგენლობაში მინიმუმ ერთი ადამიანია თითეული წინა ჯგუფიდან, ხდება ინფორმაციის გაცვლა, რათა დავალების დასრულება შესაძლებელი გახდეს.

**1.**

| | A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|---|
| მოსწავლეები სამ ჯგუფად. | A A A | B B B |
| იყოფიან თითოეული ჯგუფი. | A A | B B |
| ისმენს ჩანაწერს | | B B |

**2.**

| | C ჯგუფი |
|---|---|
| მოსწავლეები ახალ ჯგუფებად | C C |
| იყოფიან. თითეულ მათგანში | C C |
| შედის ყველა წინა ჯგუფის | C C |
| ერთი წარმომადგენელი მაინც (A,B,C). | |

**3.**

| | ახალი ჯგუფები | |
|---|---|---|
| ახალ ჯგუფებში განიხილავენ | 1 | 2 |
| ჩანაწერში განმარტებული | A B | A C |
| საიდუმლოების ან პრობლემის | C | B B |
| გადაწყვეტას. | | |
| | 3 | 4 |
| | A C | A C B |
| | B C | B |

**4.**

| | |
|---|---|
| ყველა ჯგუფი ისმენს | 5 |
| სამივე ჩანაწერს და | A |
| გაგრძელებას, რათა | B C |
| დაადგინონ საიდუმლო | |
| ან პრობლემის გადაწყვეტილება. | |

შემთხვევითი ჯგუფების ან წყვილების შედგენის რამდენიმე მეთოდი

კარგია, თუ მოსწავლეების მეტყველებაში ვარჯიშისთვის თავიანთი არჩევანის მიხედვით ადგენენ ჯგუფებს. თუმცა, ზოგჯერ უნდა შედგეს, ასევე, შემთხვევითი ჯგუფებიც. ამისთვის გაერთიანების სხვადასხვა პრინციპი შეიძლება გამოდგეს: დაბადების თარიღის მიხედვით (თვის), ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, საყვარელი ფერის, პოპჯგუფის, ფეხსაცმლის ზომის ან ფერის მიხედვით და ასე შემდეგ. ასევე, შეიძლება თემატურად დაკავშირებული ბარათების დარიგება, მაგალითად:

**- პიროვნებები:**

| | |
|---|---|
| ნაპოლეონ | ბონაპარტი |
| ალბერტ | აინშტაინი |
| ალა | პუგაჩოვა |

**- გამონათქვამები:**

| | |
|---|---|
| კეთილი | მგზავრობა! |
| გილოცავ | დაბადების დღეს! |
| ქრისტე | აღდგა! |

**- დაჯგუფებები:**

წყვილები:

| | |
|---|---|
| ძაღლი | კატა |

ჯგუფები:

| | | | |
|---|---|---|---|
| დურგალი | მძღოლი | მდივანი | მასწავლებელი |

**- ასოციაციური ჯგუფები:**

წყვილები:

| | |
|---|---|
| მოსამართლე | სასჯელი |

ჯგუფები:

| | | | |
|---|---|---|---|
| დურგალი | ხერხვა | ბოძები | შალაშინი |

**- ორი ფრაზისგან შემდგარი დიალოგები:**

| | |
|---|---|
| რომელი საათია? | 14:30 |
| საიდან ხართ წარმოშობით? | ქუთაისიდან. |
| წავიდეთ საცურაოდ? | არა, ძალიან ცივა. |
| თუ შეიძლება, ფანქარი მომაწოდე | აიღე, გეთაყვა! |

**- რიცხვები:**

რიცხვებიანი ბარათები არათანმიმდევრულად რიგდება. რომელიმე მოწაფე ასახელებს რიცხვებს, რომლებმაც ერთად უნდა იმუშაონ, მაგალითად: პირველი და მეოთხე, მეორე და მეექვსე. ვარიანტი: ბარათების ორი ერთნაირი კომპლექტი რიგდება (ჯგუფში მუშაობისთვის ერთნაირი ბარათი მეტი უნდა იყოს), ერთნაირი ბარათების მფლობელი მოწაფეები ერთად მუშაობენ. ასევე შეიძლება საათის გამოსახულებიანი ბარათების დარიგება და მოწაფეები, რომელთა საათზეც ერთი და იგივე დროა გამოსახული, მუშაობენ ერთად.

**- გამოსახულებები:**

რიგდება სხვადასხვა ნახატის კომპლექტი - თითოეული გამოსახულება ორ-ორი ეგზემპლარი (თითოეულ მოწაფეს ერთი გამოსახულება ხვდება). მოსწავლეები გადაადგილდებიან კლასში და უსვამენ ერთმანეთს კითხვებს, რათა გაარკვიონ, თუ ვის შეხვდა ასეთივე ბარათი.

**- ტექსტები:**

კლასის ერთ ნაწილს ურგიდება მოკლე კომიქსები ტექსტის გარეშე. მეორე ნაწილს ურიგდება კომიქსის ტექსტი. (ასევე, შეიძლება გაზეთების სტატიების სათაურებისა და თვით სტატიების გამოყენება). მოსწავლეები კლასში გადაადგილდებიან და ინფორმაციას ცვლიან ერთმანეთში, რათა პარტნიორი მოძებნონ.

რადგანაც ამ ხერხებს იყენებენ როგორც მოსამზადებელს, მნიშვნელოვანია ზედმეტად არ გაიწელოს ეს პროცესი. მაგალითად, კლასში, რომელშიც ოცდაათი მოსწავლეა, შეიძლება დარიგდეს სამი კომპლექტი ხუთი სხვადასხვა წყვილი ბარათით. ასეთ შემთხვევაში წყვილები ყალიბდება საგრძნობლად უფრო სწრაფად, ვიდრე თხუთმეტი სხვადასხვა წყვილი ბარათის გამოყენების შემთხვევაში. ასევე, შეიძლება სხვადასხვა ფერის ბარათების გამოყენება, რათა შეიზღუდოს მოსწავლისთვის თავისი წყვილის ძიების სივრცე.

**მცირერიცხოვან ჯგუფებად გაკვეთილის ორგანიზება - რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.**

***გაკვეთილისთვის მზადების დროს მასწავლებელმა თავის თავს რამდენიმე შეკითხვა უნდა დაუსვას:***

მე ...

- დასაწყისში ვაძლევ მარტივ და შემდეგ უფრო რთულ დავალებებს? უმჯობესია ისეთი დავალებებით დაწყება, რომელთა შესრულებისთვის მოსწავლეებს ენის საკმარისი ცოდნა აქვთ და რომელთა ორგანიზება კლასში მოწაფეების მინიმალური გადაადგილებით არის შესაძლებელი. სანამ ჯგუფში მუშაობას დაიწყებდეთ, მოსწავლეებმა წყვილებში მუშაობა უნდა ისწავლონ.
- ვპოულობ თუ არა მოტივაციას, რომელიც მოსწავლეებს თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს? შესაბამის გაკვეთილებზე ისახება რთული (მაგრამ სრულიად რეალური) დავალებები და მოწაფეები დასახული მიზნების მიღწევას ახერხებენ, რითაც სიხარულისა და თავდაჯერების განცდას იღებენ.
- ვახერხებ გაკვეთილის დანაწევრებას დროის მონაკვეთად, რათა ყველა უნარის განვითარებას მივაღწიო და თავი დავაღწიო ერთფეროვნებას, რომელიც მოსწავლეებისათვის მოსაწყენია?
- წინასწარ ვემზადები თუ არა გაკვეთილისთვის? მნიშვნელოვანია შემოწმდეს, არის თუ არა საჭირო მასალა ხელმისაწვდომი. მაგალითად, დასარიგებელი მასალა, ბარათები მაგალითებით, ლექსიკონები; ასევე, წინასწარ დაიგეგმოს შესაძლებელი ენობრივი და საორგანიზაციო სირთულეები.

- საკლასო ოთახი ისე მოვაწყვე თუ არა, რომ საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს თავისუფლად გადაადგილება შეეძლოთ?
- ვასწავლე თუ არა მოსწავლეებს ჯგუფებად ან წყვილებად სწრაფად გადანაწილება? იქნებ მათთვის შეჯიბრის ფორმის სავარჯიშოები უფრო გამართლებულია? თანამშრომლობა მასწავლებელს და მოსწავლეს შორის და არა მოსწავლეებს შორის. იქნებ მოსწავლეები შეჩვეულნი არიან გაკვეთილებს, რომლებიც მასწავლებელს მიჰყავს, სწავლების იმ ფორმებს, რომლებიც არ არის განსაკუთრებულად ორიენტირებული მოსწავლეზე?

***გაკვეთილის მსვლელობის დროს მასწავლებელმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას შემდეგი კითხვები:***

მე ...

- ვატარებ თუ არა გაკვეთილს თავდაჯერებულად და ენთუზიაზმით, რომელიც, იმედია, შემდეგ მოსწავლეებსაც შეიპყრობს (ენთუზიაზმისა და თავდაჯერების უკმარისობა მათზე აუცილებლად ცუდ გავლენას იქონიებს)?
- გასაგებად ვხსნი დავალების აზრს და იმას, თუ რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მათგანმა? მითითებები მოკლე და მარტივი უნდა იყოს. მნიშვნელოვანია შეამოწმოთ, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა დავალება და თუ არის აუცილებლობა, უნდა მისცეთ პასუხის მაგალითები.
- სრულად ვაძლევ აუცილებელ ინფორმაციას და ლექსიკის მასალას? ენის მომზადების დონე დამოკიდებულია გაკვეთილების ფორმებზე. ზოგიერთ შემთხვაში წინასწარი მომზადება არ არის საჭირო, მაგრამ სხვა შემთხვევაში ძირითადი სიტყვების შემცველი მასალის დარიგება სასარგებლოა.
- დავალებისდანიშნულებისმნიშვნელობისადმიმოსწავლეების შეგნებას ვზრდი? მნიშვნელოვანია მოსწავლეებს დაანახოთ, რომ სავარჯიშოების შესრულების დროს შეძენილი ცოდნა მათ შეუძლიათ რეალურ ცხოვრებაში გამოიყენონ.
- მკაცრად განვსაზღვრავ დროს და მეც ვითვალისწინებ? სჯობს მოკლე დრო განისაზღროს, ვიდრე გრძელი და დასასრულამდე გაფრთხილებები გამოიყენოთ, მაგალითად,

დასასრულამდე დარჩა ორი წუთი. კარგი იქნება, წინასწარ მომზადებული გქონდეთ დავალების გაგრძელება ან ახალი დავალება მათთვის, ვინც თავის დავალებას სხვებზე სწრაფად ასრულებს.

- ვუახლოვდები თითოეულ წყვილს ან ჯგუფს, როცა ისინი დავალებას ასრულებენ და ვრწმუნდები, რომ იმ მოსწავლეებმაც, რომელთაც არ უნდოდათ მუშაობა, ან უფრო მეტი დროსჭირდებათ სავარჯიშოს შესასრულებლად, დაიწყეს მუშაობა და ესმით, თუ როგორ გააგრძელონ დაწყებული სავარჯიშო? მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი თვითონ ეხმარება მოსწავლეებს, მან უნდა მოთხოვოს, რომ მოსწავლეებმა სამუშაო პროცესში გამოიყენონ ლექსიკონები ან სხვა დამხმარე მასალა.
- ვარჯიშის დროს ვუსმენ ყურადღებით, მოსაუბრეს არ ვაწყვეტინებ და ვაძლევ უფლებას, გააგრძელოს თემა ისე, რომ შეცდომებზე არ გავუმახვილო ყურადღება, თუ ეს შეცდომები გაუგებრობას არ წარმოშობს? შეცდომები, რომლებიც მეორდება, შეგიძლიათ ჩაიწეროთ, რომ შემდეგ მიუთითოთ მოსწავლეს. აუცილებლად უნდა უხსენოთ კომუნიკაციის წარმატებული მაგალითები (განსაკუთრებით საკომუნიკაციო სტრატეგიის გამოყენება - პერიფრაზები, ჟესტიკულაცია). მიღწევების შეფასებისას ნებისმიერ შეცდომაზე მითითება უნდა დაბალანსდეს წარმატებული კომუნიკაციის მაგალითების შექებით.
- შესასწავლი ენის გაკვეთილზე თანდათან სამუშაო ენად გამოყენებას ვცდილობ (ორგანიზების, ხელმძღვანელობის, გაკვეთილის შეფასების დროს) და ამ ენის გამოყენების ყველა მცდელობას ვუქებ მოსწავლეებს? იმ შემთხვევებში, როცა მოსწავლეები გაკვეთილებზე მშობლიური ენის გამოყენებას ცდილობენ, შეგვიძლია ერთი მოწაფე (ან წყვილი) ავირჩიოთ ჯგუფის ან წყვილის დამკვირვებლად, რათა მშობლიური ენის გამოყენების შემთხვევები დააფიქსირონ. შესაძლებელია, შემდეგ ეტაპზე ამ შენიშვნების კლასთან ერთად განხილვა და მათთვის მითითება, რომ შეეძლოთ შესასწავლი ენის ასე თუ ისე გამოყენება.

***მოსწავლეების შეფასების დროს მასწავლებელმა შემდეგი კითხვები უნდა დაუსვას თავის თავს:***

მე...

- დავალების შესრულების შემდეგ უზრუნველვყოფთ თუ არა უკუკავშირს? ერთმა ან ორმა წყვილმა შეიძლება დავალების დემონსტრირება მოახდინოს კლასში და შემდეგ განიხილოს სამუშაოს შედეგი. ძირითადი ყურადღება შეიძლება მიექცეს როგორც ენის ხარისხს, ასევე შინაარსს. იმის შეგნებამ, რომ გაკვეთილის ბოლოს სამუშაო იქნება გაანალიზებული, შესაძლოა მოსწავლეს შეუნარჩუნოს მოტივაცია, მაშინაც, როცა დავალებაში სირთულეს წააწყდება.
- სასწავლო პროცესს ისე ვუწევ ორგანიზებას, რომ ბოლო საფეხურზე თავი ავარიდო დროის ზედმეტად დაკარგვას? მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ასწავლოთ სასწავლო მასალის შეგროვება და სწორად დაჯგუფება (მაგალითად, ბარათები - მაგალითი, გამოსახულება). მასწავლებელმა ისინი უნდა გადაამოწმოს და მოსწავლეებმა სხვა გაკვეთილებზეც გამოიყენონ.
- უზრუნველვყოფთ თუ არა გაკვეთილების ჯგუფის ან წყვილების საჭიროებებისადმი შესაბამისობას, ან ნებისმიერი სხვა მოწაფის საჭიროებების ან ინტერესებისადმი, რომელიც გაკვეთილის დროს გაირკვა?

ჯგუფში ან წყვილებში მუშაობა თავისთავად არ უზრუნველყოფს ენის ათვისების პროცესს. მოსწავლეები უნდა იყვნენ ჩართულნი მნიშვნელოვანი და სიამოვნების მომგვრელი დავალებების შესრულებაში პოზიტიურ ატმოსფეროში. როგორც პიფო ხაზგასმით ამბობს: „პირველ რიგში, სწორედ თანმიმდევრული ურთიერთკავშირის სტილი, თანამშრომლობის და სასწავლო ატმოსფერო და გაკვეთილების დავალებების ხარისხი ავითარებს კომუნიკაციურ უნარებსა და ჩვევებს.“

# 5. ბილინგვური სწავლების პროცესისთვის მზადება

## 5.1. საგნობრივი შინაარსისა და სწავლების ენის ათვისების ინტეგრირება გაკვეთილზე

**ილვა იევინა,** პედ. მაგ., LVAVP-ის
პროექტების კოორდინატორი

სასწავლო საგნის შინაარსისა და ენის ათვისების ინტეგრირება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომელიც მასწავლებელმა უნდა შეასრულოს, რათა თავისი საგნის მეორე ენით სწავლებაზე წარმატებულად გადასვლა შეძლოს. ეს, ერთი მხრივ, თავისთავად გასაგები და, ამავდროულად, ძალიან რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაც მხოლოდ მასწავლებელთა თანამშრომლობის შედეგად არის შესაძლებელი. აქ იგულისხმება როგორც მეორე ენის მასწავლებლებს შორის, ასევე სხვა სასწავლო საგნების მასწავლებლებს შორის თანამშრომლობაც.

ბილინგვური განათლების წინააღმდეგ წაყენებული ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი არის მოსაზრება, რომ მოსწავლეები სასწავლო საგანს ვერ ითვისებენ მეორე ენის შეზღუდული ცოდნის გამო. მათ სასწავლო საგანი უნდა აითვისონ ენაზე, რომელიც ჯერ კიდევ ათვისების სტადიაშია მათთვის.

მართლაც, თეორიულ ლიტერატურაში აღწერილი კვლევები ადასტურებს, რომ აკადემიური და რთული ენის გამოყენება სასწავლო საგნის ათვისების დროს გადაულახავ სირთულეებს უქმნის იმ მოსწავლეებს, რომელთაც სწავლების ენის მწირი ცოდნა აქვთ. ასევე არ შეიძლება სასწავლო საგნის შინაარსის შესწავლის გადადება — ეს იწვევს ჩამორჩენას სწავლაში ტოლებთან შედარებით და სწავლის სურვილს უკარგავს მოსწავლეს.

მასალის სწავლის გადადება ასევე არ შეიძლება, იმიტომ, რომ არსებობს სასწავლო საგნების სტანდარტები და პროგრამები, რომლებიც მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

გამოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემებისა, რომელთაც ყურადღება უნდა მიაქციონ მასწავლებლებმა, რომლებიც თავიანთი საგნის სწავლებისას მეორე ენაზე გადადიან ბილინგვური სწავლების პროცესში:

- მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ფსიქოლოგიური პრობლემები უნდა გადალახონ.
- უნდა ისწავლონ სხვადასხვა სასწავლო ლიტერატურის შერჩევა და გამოყენება.
- უნდა დაიგეგმოს, თუ როგორ შეიძლება გაკვეთილის დროის ეფექტურად გამოყენება და უნდა აირჩეს სწავლების შესაბამისი მეთოდები.
- აუცილებელია მშობლებთან თანამშრომლობა. მშობლები უნდა დაარწმუნდნენ, რომ მათს მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მეორე ენის ყოველმხრივი ათვისების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მეთოდთაგანი არის სხვა საგნის შინაარსის სწავლება მეორე ენაზე, იმ სტრატეგიისა და მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მასალას გასაგებს ხდის სხვა ენის მომხმარებლისთვის. კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ იმ კლასებში, რომლებშიც სწავლებისას ეს ხერხები გამოიყენება, მოსწავლეები კარგად ითვისებენ მეორე ენას და, პარალელურად, ასევე კარგად ეუფლებიან სასწავლო საგნის მასალასაც. ასევე, დამტკიცებულია, რომ მეორე ენის ათვისება წარმატებულად მიმდინარეობს, როცა იგი სწავლების საშუალებად გამოიყენება და არ არის მხოლოდ სწავლების საგანი. ბილინგვური განათლების სწორედ ასეთი გააზრებაა მიღებული ლატვიაშიც.

სწავლების ენისა და სასწავლო საგნობრივი შინაარსის დაუფლების ინტეგრირების წარმატება დამოკიდებულია სწავლების პროცესში მასწავლებლის თანამშრომლობის უნარზე მოსწავლესთან. ენისა და სასწავლო საგნობრივი შინაარსის ინტეგრირება ნიშნავს მასალის ენის გაკვეთილებში ჩართვას, ასევე, მარტივად აღსაქმელი ენისა და მასალის გამოყენება სხვა სასწავლო საგნების გაკვეთილებზე. ინტეგრირებული მიდგომა

აგებს ხიდს მეორე ენის გაკვეთილებსა და სასწავლო საგნების გაკვეთილებს შორის. ამ მიდგომის გამოყენების შედეგად ორი დადებითი შედეგი მიიღწევა: მეორე ენისა და სხვა სასწავლო საგნის მასალის (საგნობრივი შინაარსის) ათვისება.

მეორე ენისა და სხვა სასწავლო საგნის მასალის ათვისების პროცესის ინტეგრირება შესაძლებელია ენის სწავლების გაკვეთილების სხვა სასწავლო საგნის მასალაზე დაყრდნობით შედგენისას, სხვა საგნის გაკვეთილების ორგანიზებისას მეორე ენის გაკვეთილების შესაბამისი მასალის გამოყენებით. სასწავლო საგნის გაკვეთილზე მასწავლებელი სასწავლო მასალას მოსწავლის შემეცნების დონის შესაბამისად ასწავლის, ხოლო მოსწავლის ენის ცოდნის დონის შესაბამისად ირჩევს საკომუნიკაციო აქტივობებს. ენის გაკვეთილებზე მასწავლებელი ენის სწავლების ინტეგრირებას ახდენს სხვა საგნის მასალასთან. ენა იქცევა მასალის ათვისების საშუალებად და არა სწავლების საგნად.

**ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული მიდგომა**. ეს მიდგომა რამდენიმე სასაფუძვლო დავალებას შეიცავს, რომლებიც ერთნაირად ეხება როგორც მეორე ენის პედაგოგს, ასევე სხვა საგნების მასწავლებლებსაც. ესენია:

- **<u>მრავალფეროვანი ინფორმაციის მატარებლების გამოყენება</u>**. რათა მეორე ენის მასალა შეძლებისდაგვარად მარტივად აღსაქმელი გახდეს, მასწავლებელმა ინფორმაცია შემეცნების მრავალფეროვანი მასალის გამოყენებით უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს: რეალური საგნების, ცხრილების, გამოსახულებების, დიაგრამების, ასევე დემონსტრირების გამოყენებით, წინასწარ წაკითხვისა და წერის სტრატეგიების გამოყენებით. არსებობს LVAVP-ის მიერ გამოცემული პლაკატები გეოგრაფიის, ბიოლოგიისა და ლატვიის ისტორიის გაკვეთილებისთვის, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეებისთვის სასწავლო მასალის შინაარსის ახსნაში ეხმარება მასწავლებელს.
- **<u>მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ორგანიზება.</u>** სწავლების ცენტრში უნდა იყოს მოსწავლე, მისი ინტერესები და საჭიროებები. მოსწავლე არის აქტიური ობიექტი, მასწავლებლის დავალებაა - მოსწავლეების თანამშრომლობასა და თითოეული მოსწავლის ცოდნის მიღების პროცესში აქტიურ ჩართვას შეუწყოს ხელი.

მასწავლებელმა სამუშაოისეუნდა დაგეგმოს, რომ მოსწავლის ანალიზის უნარი განვითარდეს, რაც ასათვისებელი მასალის შემდგომში გამოყენებისთვის არის აუცილებელი.

**სტრატეგიადახერხები**. ეს შენიშვნები, სტრატეგიები და ხერხები გათვალისწინებულია დაწყებითი კლასებისა და საშუალო სკოლის მეორე ენისა და სხვა საგნების მასწავლებლებისთვის, რომელთაც თავიანთ გაკვეთილებზე ინტეგრირებული მიდგომის გამოყენება სურთ. ამ რჩევათაგან უმრავლესობა მასწავლებლებისთვის უკვე ცნობილია. მათი აქ ჩამოთვლა მაინც უპრიანია, რათა ინტეგრირებული მიდგომის სწავლების პროცესთან მათი კავშირი ნათელი გახდეს. ჩამონათვალი არ არის სრული, იგი იმ აქტივობებს ასახავს, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მეორე ენისა და სხვა საგნის ინტეგრირებული სწავლების მეთოდის გამოყენების საწყის ეტაპზე. ასევე, პედაგოგებმა შეიძლება დაასკვნან, რომ მეთოდები, რომელთაც ისინი უკვე იყენებენ, შესაძლოა გამოსადეგი იყოს ინტეგრირებული სწავლების პროცესშიც.

### *ინტეგრირებული მიდგომისთვის მზადება*

ინტეგრირებული მიდგომის დაგეგმვისთვის უპრიანია მომზადების შემდეგი ხერხი: ***სასწავლო პროცესის ეფექტურობის უმნიშვნელოვანესი პირობაა მეორე ენის პედაგოგსა და სხვა საგნის მასწავლებელს შორის მჭიდრო თანამშრომლობა.***

### *დააკვირდით კლასში სამუშაოს*

სანამ ინტეგრირებული მეთოდის გამოყენებას დაიწყებდეს, მეორე ენის მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რომელ ენას, სასწავლო მეთოდებსა და მასალას იყენებს სხვა საგნის მასწავლებელი. ამავდროულად, სხვა საგნის მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რა ხერხებს იყენებს მეორე ენის პედაგოგი თავის გაკვეთილებზე. ამ ინფორმაციის მისაღებად მასწავლებლები ერთმანეთის გაკვეთილებს უნდა დაესწრონ და კლასში მუშაობის პროცესს დააკვირდნენ. ეს სწავლების შეთანხმებული პროცესის უზრუნველყოფისთვისაა აუცილებელი და გაკვეთილზე შესასრულებელი დავალებების გაგებაში დაეხმარება მოსწავლეებს.

ენისა და სხვა სასწავლო საგნის მასწავლებლებმა, ერთად მუშაობის დროს, უნდა დაადგინონ ენობრივი სირთულეები და აუცილებელი უნარები, რომლებიც შესაბამისი საგნის მასალის ათვისებისთვის არის აუცილებელი. ჩამოვთვლით მოსწავლეებისთვის აუცილებელი უნარებიდან რამდენიმეს:

- სახელმძღვანელოს წაკითხვის უნარი;
- სავარჯიშობის რვეულში დავალების შესრულების უნარი;
- განცხადების წერის უნარი;
- ბიბლიოთეკაში კვლევითი მუშაობის უნარი;
- სხვადასხვა ტერმინის მნიშვნელობის გარკვევის უნარი;
- საკუთარი აზრის გამოთქმისა და დასაბუთების უნარი;
- მასმედიიდან ინფორმაციის მიღების უნარი;
- ურთიერთთანამშრომლობის პროცესში ცოდნის მიღების უნარი.

### *სასწავლო მასალის გაცნობა*

პირველ რიგში, მასწავლებელმა უნდა დაადგინოს სირთულეები, რომლებიც შესაძლოა შეექმნათ მოსწავლეებს ამა თუ იმ მასალის ათვისებისას. ასეთი სახის პრობლემები შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმძღვანელოები ან სხვა ტექსტების ლექსიკა ზედმეტად რთულია. ამ პრობლემათა წარმოქმნის მიზეზი შესაძლოა, ასევე, იმაზე იყოს დამოკიდებული, თუ რა უნარებია დავალების შესრულებისთვის აუცილებლად საჭირო, რომლებიც ასათვისებელ მასალასთან არის დაკავშირებული. მოსწავლეებს სხვა საგნისა და მეორე ენის ათვისებაში რომ დაეხმაროს, ლატვიური ენის მასწავლებელს შეუძლია სხვა საგნების სასწავლო მასალის გამოყენება (წიგნები, რუკები, პლაკატები და სხვა). ეს სასწავლო მასალა შესაძლებელია განთავსდეს ლატვიური ენის საკლასო ოთახში, რათა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს მათი გამოყენების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

### *საერთო თემის არჩევა*

სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს შეუძლიათ ერთი კონკრეტული თემისადმი მიძღვნილი მრავალი გაკვეთილის შედგენა. ეს თემა შესაძლოა როგორც საგნობრივი შინაარსის,

ასევე ენის ათვისებისთვის იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, გარემოს დაცვის თემის განხილვა შეიძლება როგორც მეორე ენის გაკვეთილის მსვლელობისას, ასევე ბუნების გაკვეთილზეც.

### *გაკვეთილების მიზნების დასახვა*

სასწავლო გეგმისა და პროგრამის შედგენის დროს მასწავლებელმა უნდა დაისახოს უმნიშვნელოვანესი მიზნები და სწორედ მათ მოარგოს შესაბამისი მასალა, რათა გამოუსადეგარი წვრილმანებისა და დეტალების სწავლებას აარიდოს თავი, რამაც შესაძლოა ზედმეტად დატვირთოს მეორე ენის შესწავლით დაკავებული მოსწავლე.

### *ძირითადი სიტყვების დადგენა!*

ყველა მასწავლებელმა უნდა დაადგინოს თავისი საგნის სწავლების პროცესში ყველაზე ხშირად გამოსაყენებელი სიტყვების ჩამონათვალი და გააცნოს ეს ჩამონათვალი მოსწავლეებს. მეორე ენის მასწავლებელთან თანამშრომლობით უნდა უზრუნველვყოთ ამ სიტყვების სწორად გამოყენების უნარი. შესაძლოა, სასარგებლო იყოს ძირითადი სიტყვების მოსწავლეებისთვის წინასწარ გაცნობა. მასწავლებელს შეუძლია, გაკვეთილის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ახალ სიტყვებზე, რომელთაც შეუძლიათ მოსწავლეების აზროვნება სწორი მიმართულებით წაიყვანონ, დაეხმარონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის პოვნაში და პასუხების მოძიებაში.

ახალი თემის ახსნისას მასწავლებელს შეუძლია მრავალფეროვანი ვიზუალური მასალის გამოყენება; მათზე შეიძლება ქაღალდზე ამოწერილი და ამოჭრილი, ლატვიურ ენაზე შესრულებული საჭირო ტერმინების მიკრობა. ეს დამატებითი ინფორმაცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება დარჩეს ვიზუალურ მასალაზე განთავსებული. როცა დარწმუნდებით, რომ მოსწავლეებმა ახალი ტერმინები აითვისეს, მიკრობილი ფურცლების მოხსნა შეგიძლიათ. ასევე, მასწავლებელმა ხელოვნურად უნდა შექმნას სიტუაციები, რომლებშიც მას შეუძლია დარწმუნდეს, რომ მოსწავლეები ახალ ტერმინებს სრულად დაეუფლნენ.

### *შესაბამისი ტექსტური მასალების მოძიება*

ლატვიური ენის მასწავლებელს შეუძლია თავისი გაკვეთილებისთვის შესაბამისი ტექსტები სხვა სასწავლო საგნების სახელმძღვანელოებიდან მოიძიოს, რომლებშიც ენის სტრუქტურის ან ფუნქციის მაგალითები მოიძებნება, რომლებიც ტექსტის შინაარსის გააზრებისა და ათვისებისთვის არის საჭირო. მეორე ენის სრულყოფილი გაკვეთილი მოსწავლეს ისეთი ენის ათვისების პროცესში რთავს, რომელიც მისის განათლების პროცესისთვისაა აუცილებელი. ენის (უცხო ენის, ასევე მეორე ენის) მასწავლებლების უმრავლესობის მიზანია მოსწავლეებს მათი კომუნიკაციის უნარის განვითარებაში დაეხმარონ, რათა მათ თავიანთი თავის, თავის სიახლოვეში არსებული გარემოს შესახებ მოყოლა შეეძლოთ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბილინგვური განათლების მეთოდში მოსწავლეებისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, შეძლებისდაგვარად სწრაფად შეძლონ თავიანთი ენის ცოდნის გამოყენება სხვადასხვა შინაარსის წიგნების წასაკითხად, მათემატიკური სავარჯიშოების შესასრულებლად ან ისტორიული მოვლენების შესაფასებლად. სხვა საგნის მასწავლებელს შეუძლია მოძებნოს ალტერნატიული სასწავლო წიგნები, რომელთა განმარტებებიც უფრო შეესაბამება მეორე ენის ათვისების პროცესში მყოფ მოსწავლეებს. მასწავლებელს, ასევე, შეუძლია უკვე არსებული ტექსტების მოსწავლის ენის ცოდნის დონის შესაბამისად გადაკეთება.

### *ბეჭდური მასალის ადაპტირება*

თუ გაკვეთილის მიზანია ახალი თემის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მეორე ენის შესწავლის პროცესში მყოფი მოსწავლეებისათვის, მაშინ ძალიან მნიშვნელოვანია მასალის წინასწარ მომზადება, რომელიც მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი იქნება. ერთ-ერთი მიდგომაა: პირველ რიგში ძალიან მარტივად აღსაქმელი მასალის მომზადება ახალი თემის სასწავლებლად, ხოლო შემდეგ გაკვეთილებზე ენობრივი მრავალფეროვნების თანდათანობითი ზრდა. ლექსიკური ერთობლიობის უკვე ათვისებულ მასალას მიემატოს კიდევ ახალი, მანამ, სანამ თემა სრულად იქნება ათვისებული. ადაპტირების თუ საკუთარი მასალის შექმნის დროს მასწავლებელმა რამდენიმე პირობა უნდა გაითვალისწინოს:

— წერეთ კონკრეტულად, აბსტრაქტული, მხატვრული ენის გამოყენების გარეშე;

- დაიცავით ლოგიკური თანმიმდევრობა;
- წერეთ ნათელი და მარტივი ენით, რთული განმარტებები მოკლედ ჩამოაყალიბეთ და პრიმიტიულად დაანაწილეთ, შემდგომ მიუთითეთ ურთიერთკავშირზე;
- არ გამოიყენოთ გრძელი წინადადებები;
- თავი აარიდეთ რთულ სიტყვებს ან განმარტეთ ისინი.

***<u>როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს, მოერგოს გაკვეთილს</u>***

იმის შესაბამისად, თუ განათლების რომელი პროგრამა აირჩიეს ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობის სკოლაში, მოსწავლეებს ყოველწლიურად ეზრდებათ იმ სასწავლო საგნების რაოდენობა, რომელებიც მეორე ენაზე ისწავლება.

მეორე ენაზე სხვა საგნების მასალის სწავლის დაწყებისას, შესაძლოა, მოსწავლეს შეექმნას სირთულეები და გაუჭირდეს გაკვეთილის მსვლელობის დროს საგაკვეთილო პროცესთან მორგება; ვერ გაარკვიოს, თუ რა დავალებები უნდა შეასრულოს თითოეული გაკვეთილის განმავლობაში. მეორე ენისა და სხვა საგნების მასწავლებლებმა ერთმანეთში უნდა შეათანხმონ გაკვეთილის მიმდინარეობის გეგმა, რათა მოსწავლეებს ზედმეტი სტრესული სიტუაციები არ შეექმნათ, კარგი იქნებოდა გაკვეთილებზე რამე გარკვეული რიტმის შენარჩუნება მოხერხდეს. მოსწავლეებს საგრძნობლად გაუმარტივდებოდათ სასწავლო სიტუაცია, თუ წინასწარ ეცოდინებოდათ, რა სახის დავალება ექნებათ შესასრულებელი.

***აცნობეთ გაკვეთილის მიზნების შესახებ***

ძალიან მნიშვნელოვანია, მიზნები დაფაზე დაწეროთ და გაკვეთილის დასაწყისში ხმამაღლა დაასახელოთ. სასარგებლო იქნება, ასევე, იმის განმარტება, რომ ეს გაკვეთილი წინა და შემდეგ გაკვეთილებთან მჭიდრო კავშირშია.

***წერეთ გარკვევით***

მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მოსწავლეების ენის ცოდნის დონე განსხვავდება მისი ცოდნისგან და, მაგალითად, სლავური ანბანის ასოები განსხვავდება ლათინური ანბანის ასოებისგან.

### *შეიმუშავეთ და შეინარჩუნეთ რაიმე გარკვეული თანმიმდევრობა გაკვეთილებზე*

თანმიმდევრობა მოსწავლეებს დაეხმარება იმის დადგენაში, თუ რა იქნება შემდგომ (მაგალითად, დავალების სახეობის, სწავლის სახეობის). ასევე, ეს დაეხმარება გაკვეთილის თანმიმდევრობის გარკვევაში, მიუხედავად ენობრივი სირთულეებისა.

### *შეადგინეთ სასწავლო პროცესის აღწერა*

სანამ მოსწავლეები რაიმე სამუშაოს შესრულებას შეუდგებოდნენ, მასწავლებელმა მათ სავარჯიშოს სრული აღწერა უნდა გააცნოს. ამის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს მისცეს უფლება, ეს დავალება საფეხურებად თავად შეასრულონ. ეს ხერხი განსაკუთრებით მათემატიკისა და სხვა ზუსტი მეცნიერებების სავარჯიშოების შესრულებისთვისაა ხელსაყრელი.

### *გაკვეთილის ცალკეულ ნაწილებს გაუკეთეთ დასკვნები*

მასწავლებელი უნდა:

- ეცადოს ვიზუალური აღწერილობა შექმნას სქემებითა და გრაფიკებით;
- ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი მეორედ განმარტოს, ინფორმაციის სხვა წყაროების გამოყენებით;
- მისცეს მოსწავლეებს უფლება, თავად გააკეთონ ზეპირი დასკვნები;

### *სწავლების გააზრებული სტილი*

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს თანამშრომლობისთვის და კლასში სამუშაოდ ურთიერთკავშირისთვის წინაპირობა შევუქმნათ. მიზანშეწონილი არ არის, რომ მასწავლებელმა მხოლოდ ლექციის ფორმატი გამოიყენოს, ანუ, თვითონ ილაპარაკოს ბევრი; სწორი მიდგომაა, მოსწავლეების დამოუკიდებელ, წყვილებში ან ჯგუფებში სამუშაოს გაუკეთოს ორგანიზება. მან პირადი მაგალითით უნდა აჩვენოს მოსწავლეებს ენის სწორად გამოყენების ხერხები, თუმცა მოსწავლეების შეცდომებისადმი ტოლერანტული უნდა იყოს.

***გამოიყენეთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რათა აღზარდოთ მათში სწავლის უნარ-ჩვევა***

მასწავლებელი  უნდა იქცეს წამქეზებლად და მისცეს მოსწავლეებს საშუალება, საკუთარ სწავლაზე  თვითონ აიღონ პასუხისმგებლობა.  გაკვეთილზე მუშაობის დაგეგმვისას ყურადღება  უნდა  მიექცეს იმას, რომ მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი გაკვეთილის ყველა მონაკვეთში.  ამ შემთხვევაში მოსწავლეები კარგად აითვისებენ როგორც მასალას, ასევე, გაიუმჯობესებენ ენის ცოდნას. მასწავლებელმა ხელოვნურად უნდა შექმნას სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ, საგნის შესაბამისი ლექსიკა გამოიყენონ და საგნობრივი შინაარსის შესახებ საკითხებზე ისაუბრონ, ასევე, წერილობით გამოთქვან აზრი ლატვიურ ენაზე.

მასწავლებლის მოვალეობა ბილინგვური სწავლების პროცესში და, საერთოდ, თანამედროვე სკოლაში, არ არის მხოლოდ მისი საგნის მასალის რაც შეიძლება მეტის სწავლება, არამედ გამოუმუშავოს მოსწავლეს სწავლის უნარი და სწავლის პროცესის ინიციატორად აქციოს.

***შეამცირეთ ის დრო, როცა გაკვეთილზე მასწავლებელი საუბრობს***

მნიშვნელოვანია დროის იმ მონაკვეთის გაზრდა, როდესაც გაკვეთილზე მოსწავლე საუბრობს სასწავლო საგნის შინაარსის შესახებ. მიეცით მოსწავლეებს საშუალება, გაკვეთილზე მეტი ილაპარაკონ! დისციპლინის პრობლემებზე ლაპარაკის ნაცვლად, წარმართეთ ეს საუბარი ისე, რომ იგი სასწავლო საგნის მასალის ათვისებას ემსახურებოდეს! მზად იყავით მასალის სხვა სიტყვებით ხელმეორედ მოყოლისთვის, თუ მოწაფემ პირველ ჯერზე მასალა ვერ გაიაზრა.

***გაზარდეთ კითხვების რაოდენობა***

კითხვები მოსწავლის აზროვნების უნარს უნდა ავითარებდეს. მოსწავლის ფიქრის უნარის გასავარჯიშებლად არ არის საჭირო რთული ენობრივი მოდელების გამოყენება. მაგალითად, მოვლენების თანმიმდევრობის წარმოდგენაში დასახმარებლად შეგიძლიათ მოსწავლეებს წაუკითხოთ მოთხრობის სათაური და ჰკითხოთ: „როგორ ფიქრობთ, რის შესახებ არის ეს მოთხრობა?“

მასწავლებელმა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განავითაროს მოსწავლის კრიტიკული აზროვნების უნარი.

***გაიაზრეთ, რომ მოსწავლეებს გრამატიკული შეცდომები აუცილებლად ექნებათ***

ენის ათვისების პროცესში მოსწავლეები საუბრისას შეცდომებს უშვებენ. ეს ბუნებრივი მოვლენაა. ბილინგვალი მასწავლებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მოსწავლეებს ესმით ინფორმაცია და არ უნდა მიაქციოს გადაჭარბებით დიდი ყურადღება გრამატიკის ასპექტებს. როცა შესაძლებელია, რა თქმა უნდა, სწორი ფორმა უნდა შევთავაზოთ, მაგრამ მთავარი როლი ენის სწორად გამოყენების ათვისებაში ლატვიურის, როგორც მეორე ენის, მასწავლებელს უჭირავს.

***სწავლება კლასში, რომელშიც მოსწავლეებს ენის ცოდნის სხვადასხვა დონე აქვთ***

საკმაოდ ხშირად მასწავლებელს მუშაობა უწევს კლასში, რომელშიც მოსწავლეებს ენის ცოდნის სხვადასხვა დონე აქვთ. არსებობს მრავალი ხერხი, რომლებიც ამგვარ სიტუაციებში დაგეხმარებათ.

***გამოიყენეთ კოოპერატიული სწავლების ხერხები***

ეს მეთოდი მრავალფეროვანი და ინდივიდუალური სწავლების სტილისთვისაა გათვალისწინებული და მოსწავლეებს სოციალიზაციის პროცესში ეხმარება. წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა მოსწავლეების თანამშრომლობას უწყობს ხელს და ამცირებს ბევრი მოსწავლის შიშს, რომ მას მოუწევს კლასის წინაშე მარტო დგომა. ჯგუფებში მუშაობის ფორმის არჩევის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მონაფეს ჰქონდეს თავისი დავალება, რომლის შესრულების უნარიც შესწევს და საერთო საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანოს (მაგალითად, ჩამწერი, საბოლოო დასკვნის შემდგენელი, ილუსტრატორი, მასალის მომგროვებელი, მაცნე). მნიშვნელოვანია ჯგუფების ისე შედგენა, რომ ჯგუფში ენის ცოდნის სხვადასხვა დონის მატარებელი ბავშვები შედიოდნენ.

***დაგეგმეთ გაკვეთილი ისე, რომ მოსწავლეებმა ახალი ინფორმაცია თავადვე აღმოაჩინონ***

აირჩიეთ აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება, თავად აღმოაჩინონ ახალი ინფორმაცია, მასწავლებელს მხოლოდ გეზის მიმცემის როლი აქვს! მასწავლებელი ეხმარება ინფორმაციის ორგანიზებაში და ზოგჯერ მოსწავლეებს შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობას უგეგმავს. ჯგუფებში ან ინდივიდუალურად მუშაობის დროს მოსწავლეები შედეგებს აღწევენ. მაგალითად: მათემატიკაში პრობლემის გადაწყვეტა ან ბუნებისმცოდნეობაში ექსპერიმენტების ჩატარება. ბუნების ან სოციალურ მეცნიერებათა გაკვეთილებზე ძალიან წამატებულად შეიძლება იმ ხერხების გამოყენება, რომლებშიც მოსწავლეები პროექტის მეთოდით იკვლევენ თავისივე არჩეულ თემას. მასწავლებელი მოქმედებს როგორც კოორდინატორი. მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, ეძებს მის მიზეზებს, ატარებს კვლევებს ან ექსპერიმენტს და პრობლემის გადაწყვეტის გზებს ეძებს. ენის ცოდნის დონე, აზრის გასაგებად გამოთქმის უნარი და პროექტის შემუშავების პროცესში სხვების აზრის გაგება იძენს კონკრეტულ პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამ დროს შესაძლებელია ლატვიურის, როგორც ინფორმაციის მოგროვების, მონაცემთა დამუშავების, არგუმენტირების საშუალებად გამოყენება.

***გამოიყენეთ აქტივობები, რომლებშიც მოსწავლეებისთვის ნაკლული ინფორმაციის მოძიება იქნება სჭირო***

ამ აქტივობებს მიეკუთვნება როლური თამაშები, სიტუაციური, კითხვა-პასუხების სავარჯიშოები, პრობლემების გადაწყვეტა. თითოეულ მოსწავლეს (კლასში ან ჯგუფში) აქვს ერთი ან ორი ინფორმაციის ფრაგმენტი, რომლებიც სავარჯიშოს შესასრულებლად არის აუცილებელი, მაგრამ არ არის საჭირო ინფორმაციის სრულად მიწოდება. მოსწავლეებმა ერთად უნდა იმუშაონ, უნდა გაცვალონ ინფორმაცია. ამ ხერხით მათი მეტყველების და აზროვნების უნარის გავარჯიშება და ენის დონის გაუმჯობესება შეიძლება.

***მოსწავლეების მოტივირება და მხარდაჭერა***

მოსწავლეები, რომელთაც ლატვიური ენის ათვისებაში აქვთ სირთულეები, თავს დაუცველად გრძნობენ სხვა სასწავლო

საგნების გაკვეთილებზე, რომლებიც ლატვიურ ენაზე ტარდება, რადგანაც მათ არ აქვთ თემის საკმარისი ცოდნა. მასწავლებელმა სამუშაო ისე უნდა დაგეგმოს, რომ ასეთ მოწაფეებს დახმარებისა და მხარდაჭერის გაწევა იყოს შესაძლებელი.

***დაეხმარეთ მოსწავლეებს „სიტყვათა ქსელის“ (semantic xebing) გამოყენებით***

„ქსელი“ ხშირად გამოიყენება, როგორც წერის წინა აქტივობა; ასევე, ეს ბრწყინვალე სავარჯიშოა ახალი თემის განხილვის ან წაკითხვის წინ. იგი ეხმარება მოსწავლეებს აზრების მოკრეფაში და ინფორმაციის დალაგებაში. მოსწავლეებს (მასწავლებლის დახმარებით, ან მის გარეშე), პირველ რიგში, შეუძლიათ ჩამოწერონ თარიღები, ტერმინები, ცნებები თანმიმდევრობის გარეშე და ქსელი მხოლოდ შემდგომ შეადგინონ, ან სულაც თავიდანვე ასე დაიწყონ, ასოციაციებისა და აზრების ცხრილების შექმნით.

შემდეგ მოსწავლეებს „ქსელის“ გამოყენება შეუძლიათ შესაბამის თემაზე საუბრის ან წერის დროს. ეს დაეხმარებათ ჩამოთვლილი კატეგორიების გამოყენებაში, აზრის გამოთქმის თხრობის ფორმაში.

***სასწავლო მასალა თვალსაჩინო გახადეთ***

ენის სწავლების გაკვეთილებზე ხშირად გამოიყენება სხვადასხვა საგანი, ილუსტრაცია, რუკა, ფოტოსურათი, მაგრამ ზოგჯერ, არც თუ ისე ხშირად, სხვა საგნების გაკვეთილებზეც იყენებენ. თვალსაჩინოება უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო საგნის მასალის სწრაფად გაცნობას. ამ დამხმარე საშუალებების გამოყენების დროს მოსწავლეების მიერ სასწავლო მასალის ათვისების უნარი აღარ არის დამოკიდებული მხოლოდ მათი ენის ცოდნის დონეზე.

***დაყავით მოსწავლეები პატარა ჯგუფებად, შემდეგ ისევ გააერთიანეთ ყველა***

მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილის თემა დაასახელოს და სთხოვოს მოსწავლეების ჯგუფს, დაწეროს, თუ რა იციან უკვე მის შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ ყველა ისევ ერთიანდება და ერთ-ერთი მოსწავლე თითოეული ჯგუფიდან ჩაწერილ ინფორმაციას უყვება მთელ კლასს.

### *თემის ათვისების პროცესში ჩართეთ მოსმენის აქტივობები*

თემის მასალის შესაბამისი მასალის მოსმენა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, განეწყონ თემაში ჩაღრმავებისთვის. ამის უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს შეიძლება რაიმე სიმღერა, ლექსი ან თუნდაც მოკლე მოთხრობა შესთავაზოთ და ამის შესახებ გაუჩინოთ მოტივაცია, რომ მოკლედ ისაუბარონ ამ საკითხზე.

### *ჩართეთ გაკვეთილში მოსწავლის გამოცდილების შესახებ საუბარი*

რაიმე ახალი თემის გაცნობის დროს წააქეზეთ მოსწავლეები, გაბედონ და გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა, რომელიც მათ უკვე აქვთ ამ თემის შესახებ. შესთავაზეთ რეალური, ცხოვრებისეული მაგალითების გახსენება და პირადი გამოცდილების ურთიერთ-გაზიარება.

### *მეორე ენის სწავლების ტრადიციული ხერხების გამოყენება სხვა სასწავლო საგნების მასალის ასათვისებლად*

მეორე ენის მასწავლებლებს რაიმე კონკრეტული შინაარსის სწავლების დროს და სხვა საგნების მასწავლებლებს, როცა ისინი თავიანთ საგნის მეორე ენაზე სწავლებაზე გადადიან, მეორე ენის სწავლებისთვის შემდეგი რჩევების გამოყენება შეუძლიათ:

- გრაფიკები, რუკები, დიაგრამები, ფოტოსურათები გაზეთებიდან და ჟურნალებიდან - უზრუნველყოფს მოსწავლეებს არავერბალური ინფორმაციით და მათი გამოყენება გამოსადეგია სწავლების სხვადასხვა სტილში.
- რაიმეექსპერიმენტისდემონსტრირებამასწავლებელსაძლევს შესაძლებლობას, სიტყვების მნიშვნელობა განუმარტოს მოსწავლეებს მათი თარგმნის გარეშე. რაიმე მოქმედების შესრულების დროს მასწავლებელი მოსწავლეებს რაიმე ახალი სიტყვის (განსაკუთრებით - ზმნების) მნიშვნელობასაც თვალსაჩინოდ აჩვენებს.
- სკოლის კუთვნილებაში არსებული ვიდეომასალის გამოყენების გზით შეეცადეთ საგნის შინაარსის გადმოცემის ხერხების გაუმჯობესებას! სანამ მოსწავლეებს ფილმს

აჩვენებდეთ,რაღათქმაუნდა,იგიუნდანახოსმასწავლებელმა, რათა წინასწარ განსაზღვროს შესაძლებელი ენობრივი სირთულეები, ასევე, რათა თავი აარიდოს ზედმეტად ვრცელ მასალას, რამაც შესაძლოა კონკრეტული შინაარსის აღქმა გაართულოს.

- მასწავლებლებმა სასწავლო საგნის სწავლება ისე უნდა დაგეგმონ, რომ მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ როლურ თამაშებში, ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში, ხატვაში, რაიმე პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში.
- ენის მასწავლებლები თავიანთ სამუშაოში ხშირად იყენებენ მუსიკას. ეს მოსწავლეებს მოტივაციას უჩენს, სწორად აითვისონ ინტონაცია და გამოთქმა. მუსიკის გამოყენება შეიძლება, ასევე, სხვა საგნების სწავლების პროცესში. რა თქმა უნდა, შესაძლოა უფროსი კლასების მოსწავლეებს არ მოეწონოთ კლასში ხმამაღლა სიმღერა, მაგრამ მათ შესაძლოა შესთავაზოთ სიმღერის მოსმენა და შემდეგ მასთან დაკავშირებული მოქმედების შესრულება.

სხვა სასწავლო საგნების შინაარსის ასათვისებლად მეორე ენის სწავლების ხერხების გამოყენების იდეები მასწავლებლებს შეუძლიათ მოიძიონ LVAV-ის გამოცემულ წიგნში „ლატვიური ენის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდური სამაგიდო წიგნი“.

## დასკვნა

სამუშაოს დაგეგმვის დროს მასწავლებელმა სასწავლო მასალის შინაარსი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად უნდა აირჩიოს და გაკვეთილებზე დასახოს კონკრეტული და მიღწევადი მიზნები და დავალებები. სასწავლო მასალის სწავლების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს მასალის მიწოდება მარტივიდან რთულისკენ გადასვლით. მასწავლებელი უნდა ეყრდნობოდეს მოსწავლეების უკვე არსებულ ცოდნას როგორც ენის, ასევე სხვა სასწავლო საგნებისა. უნდა აირჩეს თანამშრომლობაზე მიმართული მეთოდები, ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა საგანს შორის კავშირი მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გზით.

მოსწავლეებს რომ ცოდნის მიღების მოტივაცია გაუჩნდეთ, სწავლება დადებით, თავისუფალ და ძალდატანების გარეშე ატმოსფეროში უნდა მიმდინარეობდეს. თავად მასწავლებელი

პოზიტიურად უნდა იყოს განწყობილი და საბოლოო შედეგით დაინტერესებული. იგი მზად უნდა იყოს, წააქეზოს, დაეხმაროს, მოტივაცია გაუზარდოს და დააფასოს მოსწავლე. კლასში შექმნილი გარემო ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის თავდაჯერების განვითარებას, ასევე, განწყობას უქმნიდეს, რომ სწავლების პროცესი პოზიტიური პროცესია. ეს შეიცავს ურთიერთპატივისცემას სრული გაგებით, როგორც მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, ასევე მოსწავლეებს შორის.

საგნობრივი შინაარსის წარმატებით ათვისებისთვის უნდა მომზადდეს შესაბამისი თვალსაჩინოებები, ადვილად აღსაქმელი ტექსტობრივი მასალები, უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები. უნდა გამოიყენებოდეს და მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ ინფორმაციის მოძიების მრავალფეროვანი წყარო.

მოსწავლეების ნამუშევრების შეფასების სხვადასხვა ფორმა უნდა გამოვიყენოთ, რაც უზრუნველყოფს პროგრესს როგორც ენის ათვისების პროცესში, ასევე სხვა საგნების შესწავლის პროცესში.

## 5.2. მოსწავლეთა განწყობები ბილინგვური სწავლისა და სწავლების დროს

*ევია პაპულე, პედ. მაგ.*

**ბილინგვური სწავლება: რამდენიმე მეთოდოლოგიური ასპექტი**. დღესდღეობით ბილინგვური განათლების, ბილინგვური სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ საუბრის დროს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მინიმუმ, სამ მნიშვნელოვან ასპექტს:

1) ენის და სასწავლო საგნის შინაარსის დაკავშირება, ანუ ინტეგრირება;
2) სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება;
3) ენის (ენების) მოხმარების დაგეგმარება.

ბილინგვურად მუშაობის დროს ორი ენა გამოიყენება, როგორც სწავლების საშუალება ანუ ინსტრუმენტი. მაგალითად, მოსწავლის მშობლიური (ეროვნული უმცირესობის) ენა და ოფიციალური (სახელმწიფო) ენა, ან ოფიციალური ენა და რომელიმე უცხო ენა. ეს ნიშნავს იმას, რომ მასწავლებლები, რომლებიც თავიანთ საგანს მოსწავლეებს ბილინგვურად ასწავლიან, მუშაობენ ერთ გუნდში: გეგმავენ სასწავლო მასალას არა მხოლოდ რომელიმე

კონკრეტული კლასისთვის, არამედ თითოეული კონკრეტული თემისთვის, შესაძლებელია რაიმე კონკრეტული საკითხისთვისაც. ამ გზით სასწავლო მასალის ზედმეტ გამეორებას არიდებს თავს, შეთანხმებულია მასალის თანმიმდევრობა, ასევე სასწავლო მასალის შესწავლის პროცესში გამოყენებადი ორი ენის ურთიერთთანამშრომლობა. ასევე, მნიშვნელოვანია სწავლების მეთოდების გააზრება. იმ შემთხვევაში, თუკი პედაგოგები ნამდვილად პროფესიონალურად ზრუნავენ თავიანთი მოსწავ-ლეების ცოდნასა და უნარებზე, ყველა მასწავლებლის სამუშაო ურთიერთშეთანხმებულია. ამის შედეგად გაკვეთილისთვის გა-მოყოფილი დრო ეფექტურად არის გამოყენებული.

სწავლების პროცესის მიზნების შესაბამისად მასწავლებლების თანამშრომლობა შესაძლებელია უფრო ვიწრო წრეშიც შედგეს, სასწავლო საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. მაგალითად: თანამშრომლობენ მშობლიური ენის, მეორე ენის, უცხო ენის და რომელიმე სხვა საგნის ან ბევრი საგნის მასწავლებლები; თანამშრომლობენ მონათესავე დარგების სასწავლო საგნების მასწავლებლები. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ერთ მასწავლებელს არ შესწევს უნარი, უზრუნველყოს ბილინგვური სწავლება. სასწავლო მასალის ათვისების და სწავლების არჩეული მეთოდების შეთანხმების შედეგად არა მხოლოდ პედაგოგიური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტა შეიძლება, არამედ ბილინ-გვური სწავლების საკითხებისაც.

როგორც ცნობილია, თანამედროვე პედაგოგიკა სასწავლო პროცესის ცენტრში მოსწავლეს აყენებს. ამის გამო სწავლების მეთოდიკა სწრაფად იცვლება და ვითარდება. ბილინგვური სწავ-ლების განვითარება განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს სწავ-ლების ახალი და თანამედროვე მეთოდების გააზრებას და, რაც მთავარია, გამოყენების პრაქტიკას. ყველაზე პოპულარულია ინტერაქტიური და კოოპერატიული მეთოდები. ამ მეთოდების პოპულარობას არა მხოლოდ საზოგადოება განაპირობებს, არამედ სკოლისა და განათლების სისტემის დემოკრატიზაციის პროცესიც. დისკუსია, როლებში თამაში, ჯგუფში და წყვილებში მუშაობა, პროექტი, დებატები, ინტერვიუები - ესენია რამდენიმე იმ მეთოდთაგან, რომელთა გამოყენება გაკვეთილზე, რაიმე დავა-ლების შესრულების დროს, ავითარებს არა მხოლოდ სოციალური სწავლის უნარებს, არამედ ენის შესწავლის დონესაც აუმჯობესებს. სწორედ ორი ან მეტი ენის შესწავლა არის ბილინგვური სწავლების მნიშვნელოვანი დამატებითი ფაქტორი. არატრადიციულად (მას-წავლებელი და მის მიერ გაცემული ცოდნა კი არ არის მთავარი

- არამედ მოსწავლის ნამუშევარი და მისი მიღწევები) მუშაობის დროს შესაძლებელი ხდება; მაგალითად:

- უზრუნველყოფს სასწავლო მასალის წარმოდგენას ენობრივი თვალსაზრისით გამარტივებული სახით, მოსწავლის გარკვეული ასაკისთვის ენის განვითარების დონის შესაბამისად. ამის გაკეთება შეიძლება როგორც მოსწავლეების მშობლიურ ენაზე, ასევე მეორე ენაზე.
- შესაბამისი სასწავლო საგნის შინაარსის (ასევე, საჭირო ლექსიკის) განმტკიცება როგორც მშობლიურ ენაში, ასევე - მეორე ენაშიც;
- მოსწავლეების სიტყვათა მარაგის გაზრდა მშობლიურ ენასა და, ასევე, მეორე ენაში.
- სასწავლო მასალის შესასწავლად გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება. გაკვეთილის ჩატარება არ შეიძლება მასალის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნით. თუ მასწავლებელი თარგმნას იყენებს, როგორც სწავლების მეთოდს (და არა მხოლოდ როგორც ხერხს: განმარტების, მაგალითების, დამატებითი ცნობების მოძიების და ასე შემდეგ), არ შეგვიძლია საუბარი ბილინგვური სწავლების პროცესზე. ასეთი არაპროფესიონალური მიდგომა არის ბილინგვური სწავლების იდეის პროფანაცია. ჯგუფებში მუშაობის დროს დამხმარეებად შეიძლება იმ მოწაფეების გამოყენება, რომელთა მეორე ენის ცოდნის დონე უკეთესია. მიენდეთ მოსწავლეებს! მიეცით მოსწავლეებს უფლება, ასწავლონ თანაკლასელებს, მაშინ იქნებით თანამედროვე და დემოკრატი მასწავლებელი.

რაღა თქმა უნდა, სწავლების პროცესში, ორი ენის გამოყენების დროს, ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული საგნის მასალის ათვისების პროცესს. ენები მხოლოდ ინსტრუმენტებია. მხოლოდ დარგის სპეციალისტს შეუძლია თავისი დარგის შესაბამისი ლექსიკის სწავლება. ენის პედაგოგს - არც მშობლიური ენის, არც მეორე ენისას - არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს, შესთავაზოს და ასწავლოს ყველაფერი რომელიმე კონკრეტული ენის ფარგლებში სხვადასხვა მეცნიერების სფეროში. ამიტომ სასწავლო საგნის მასწავლებელი იყენებს, ირიბად ამდიდრებს მოსწავლის ლექსიკას და ნაწილობრივ ენასაც ასწავლის მათ, იმისდა მიუხედავად, ეს არის მოსწავლეების მშობლიური ენა თუ სწავლების პროცესში გამოყენებული სხვა ენა.

არ არის შემთხვევითი, რომ ბილინგვური სწავლების მეთოდოლოგიის საკითხების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება სწავლების პროცესში, გაკვეთილის მსვლელობის დროს, ენის გამოყენებას ექცევა. ენის არჩევის რამდენიმე მიდგომა არსებობს. მასწავლებელს გააზრებული უნდა ჰქონდეს, ანუ წინასწარ უნდა დაგეგმოს ენის გამოყენების გეგმა გაკვეთილზეც, მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობის დროსაც, მაგალითად, სახლში.

ენების დაგეგმარების მეთოდს ბევრი ასპექტი განაპირობებს.

- მოსწავლის ასაკი, ზოგადი განვითარება, მშობლიური ენის ფლობისა და მეორე ენის ათვისების დონე, სოციალური გამოცდილება, ენის პრაქტიკული გამოყენების გამოცდილება, შესაძლებლობები, არსებული ცოდნა და უნარები განაპირობებს იმას, თუ რა რაოდენობით უნდა გამოვიყენოთ ერთი ან მეორე ენა.
- სასწავლო მიზნები, დავალებები განაპირობებს, თუ რომელ ენაზე უნდა ტარდებოდეს ესა თუ ის მეცადინეობა თუ სამუშაო.
- დაბალანსებული სასწავლო მასალის ათვისებისთვის გამოყოფილი დროის მონაკვეთის დაგეგმვა განაპირობებს იმას, თუ როდის და რომელი ენა უნდა გამოვიყენოთ ახალი თემის სწავლის, გამეორების, უკვე ნასწავლი მასალის განმტკიცების ან საშინაო დავალების შესრულებისა თუ შემოწმების დროს.
- სწავლების მეთოდების არჩევანი განაპირობებს, თუ რას და რა ენაზე ასწავლის მასწავლებელი, თუ როგორ და რა ენაზე მუშაობენ მოსწავლეები. მნიშვნელოვანია, თუ რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი ენის სწავლების მეთოდებს და რამდენად შესწევს მათი გამოყენების უნარი.
- სასწავლო საგნის შინაარსი, მისი სირთულის საფეხური (თეორიულიცა და ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა), სხვა სასწავლო საგნებთან კავშირში, შესაძლებელია სასწავლო მასალის ნაწილის ყოფაში ათვისება, ასევე, მეორე ენაში, განაპირობებს, თუ როდის უნდა გამოვიყენოთ ერთი ან მეორე ენა.
- გამოყენებული სასწავლო ლიტერატურა, მასალა, მასში გამოყენებული ენის სპეციფიკა (ბავშვების ასაკისთვის დამახასიათებელი თვისებებისა და ენის განვითარების დონის

შესაბამისი - როგორც მშობლიურ ენაში, ასევე მეორე ენაში) განსაზღვრავს, თუ როგორ და როდის უნდა დაეხმაროთ მოსწავლეებს არა მხოლოდ სასწავლო მასალის ათვისებაში, არამედ, ასევე, მის გაგებაში მეორე ენაზე.

- სხვა საგნებში ენის გამოყენების გამოცდილება (მასწავლებლის დაგეგმილი) განსაზღვრავს, თუ რა იციან უკვე და რა შეუძლიათ მოსწავლეებს მეორე ენის გამოყენების დროს.
- მოსწავლის საჭიროებანი განათლების მიღების შემდგომ პროცესში.

აქ ნახსენებია ენის სწავლების მხოლოდ ზოგიერთი ასპექტი, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია ბილინგვური სწავლებისა და სწავლის დროს. თუმცა, კიდევ არსებობს თითოეული სასწავლო საგნის ათვისების პირობები. მუდმივად უნდა ადევნოთ თვალყური იმას, თუ რამდენად ითვისებენ მოსწავლეები სწავლების საგანს, იზრდება თუ არა მეორე ენის გამოყენება, უმჯობესდება თუ არა მათი მშობლიური ენის ცოდნა.

**ხილვადობა: დიდაქტიკის პრინციპი, საშუალებები, სწავლების მეთოდები.** იან ამოს კომენსკიმ (1592-1670) თავის ნაშრომში „დიდი დიდაქტიკა“ დიდაქტიკის ერთ-ერთ პრინციპს გაუკეთა ფორმულირება - თვალსაჩინოების პრინციპი: „ოქროს კანონად უნდა იქცეს პირობა: მოსწავლეებს უნდა მეცეთ უფლება, შეიგრძნონ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია შეიგრძნონ შეგრ-ძნებების დონეზე: ხილვადი - მხედველობით, ხმა - სმენით, სუნი - ყნოსვით, გემო - გემოთი, შესახები - შეხებით.“

ხილვადობა დეფინირებულია, როგორც ობიექტის ის თვისება, რომლის მხედველობით აღქმა არის შესაძლებელი, აისახება რო-გორც მისი გარეგნული გამოსახულების, ფორმის გარკვეულობა და სიმარტივე, შიდა აგებულების მარტივად აღქმადობა, სიმარ-ტივე.

რატომ არის ხილვადობა ასე მნიშვნელოვანი?

- მას მთავარი ნერვის მოქმედება წარმოქმნის, ამიტომ მხედველობით აღქმად მასალას შეუძლია პირველადი სიგნალ-სისტემის ეფექტურად განვითარებას შეუწყოს ხელი და, ამგვარად, მეორე სისტემის განვითარებას გაუკეთოს სტიმულირება.
- ხილვადობა პოზიტიურ გავლენას ახდენს მეხსიერებაზე, ანუ სასწავლო მასალის შენახვა-გათავისებაზე.

- იგი სიტყვიერ ინფორმაციას აკავშირებს (მაგალითად, მასწავლებლის მონათხრობს) დაკვირვებებთან (მაგალითად, მოსწავლისა).
- ხილვადობა ინფორმაციას აკონკრეტებს.

როგორც ი. ა. კომენსკი მიგვითითებს, „რა ენასაც არ უნდა ვასწავლიდეთ, მშობლიურ ენასაც კი, უნდა ვაჩვენოთ ნივთები, რომელთა განმარტებაც სიტყვებია და უნდა ვასწავლოთ სიტყვებით გამოთქმა ყველაფრისა, რასაც ვხედავთ, რასაც ვეხებით, რასაც ვჭამთ, რათა მეტყველების პროცესი და აზრი ყოველთვის პარალელურად მიმდინარეობდეს და ორივე ვითარდებოდეს ერთად. არავის არ შეიძლება წავაკითხოთ ის, რაც მას არ ესმის, ან მოვთხოვოთ იმის განხილვა, რის გამოთქმაც მას სიტყვებით არ შეუძლია.“

ვიზუალური საშუალებები დამხმარე სასწავლო საშუალებებია, რომელთაც აჩვენებენ, დემონსტრირებას უკეთებენ გაკვეთილზე, რათა უფრო გასაგები და ადვილად აღსაქმელი გახდეს სასწავლო მასალა, მიწოდებული ინფორმაცია, თეორიული აზრი და ასე შემდეგ. ვიზუალურ საშუალებებს, ჩვეულებრივ, სასწავლო პროცესის გარკვეული საფეხურის საჭიროებებისა და მოთხოვნების, ასევე მოსწავლეების ასაკიდან გამომდინარე თვისებების შესაბამისად ამზადებენ. მათ აჯგუფებენ ბუნებრივ, ხელოვნურ და სიმბოლურ ვიზუალურ მასალად.

ვიზუალური მასალა შეიძლება იყოს:

ა) ბუნების ობიექტები (დემონსტრირების დროს, ექსკურსიებზე და გასეირნების დროს),

ბ) სპეციალურად შექმნილი საშუალებები (პლაკატები, სქემები, გამოსახულებები, ფოტო სურათები, ნახატები, გეომეტრიული ფიგურები, მულიაჟები, გრაფიკული ცხრილები, ტაბულები),

გ) სიმბოლური საშუალებები (რუკები, გლობუსები),

დ) მოდელები (აპარატები, ხელსაწყოები),

ე) საეკრანო საშუალებები (კინო ფილმები, დიაფილმები, დიაპოზიტივები და სხვა),

ვ) აუდიოვიზუალური საშუალებები (ვიდეო ჩანაწერები, აუდიო ჩანაწერები).

ტრადიციულად გამოიყენება ვიზუალური სწავლების მეთოდის ორი ჯგუფი:

- ილუსტრირების მეთოდი (სასწავლო მასალის ამსახველ საშუალებებთან დაკავშირებული - პლაკატების, რუკების, ნახაზების, სქემების, გამოსახულებების, ფოტოსურათების,

გრაფიკების, დიაგრამების, ტაბულების - გამოყენებასთან);

- დემონსტრირების მეთოდი (რათა ნაჩვენები იყოს სივრცითი სასწავლო საშუალებები);

ილუსტრირება პროცესია, რომლის მიზანია თეორიის გარკვეული კანონი ან მოვლენა უკეთ გასაგები გახადოს მაგალითის, ვიზუალური საშუალებების, სიტყვიერი განმარტებების, მოძრაობის და ასე შემდეგ დახმარებით.

დემონსტრირება შესაძლებელია ვიზუალური მასალის დამზადების დროს, სასწავლო ექსპერიმენტების დროს მათ შესახებ შეფასებების და განმარტებების გზით, ანუ მასწავლებლის, მოსწავლის ან სხვა პიროვნების მიერ ნათქვამის გამოყენებით. დემონსტრირება შესასწავლი ნივთის, ობიექტის, მოვლენის ცოცხლად დაკვირვების შესაძლებლობას უზრუნველყოფს, ამგვარად, შესაბამისი სასწავლო მასალის შინაარსის უკეთესად გააზრებას და ათვისებას უწყობს ხელს.

ვიზუალური სასწავლო მასალის გამოყენება რომ ეფექტური გახდეს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს და გავითვალისწინოთ რამდენიმე პირობა და მოთხოვნა.

- სასწავლო პროცესში ვიზუალური მეთოდების გამოყენება მოსწავლეების ვიზუალურ მხატვრული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს; ააქტიურებს ყურადღებას და შემეცნების უნარს; კონკრეტიზაციას უკეთებს სასწავლო ან გამოსაკვლევ თეორიულ საკითხებს; ნანახ მოვლენებს უკეთებს სისტემატიზებასა და კლასიფიცირებას; სწავლისადმი ინტერესს უკეთებს სტიმულირებას (შესაბამისად, პოზიტიური მოტივაციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს); პროცესის და მოვლენების მოდელირების შესაძლებლობას იძლევა, რომელთა რეალურ დროში დაკვირვება შეუძლებელია; სასწავლო მასალის ათვისების დონის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა;
- არ შეიძლება ხილვადობა თვითმიზნად იქცეს. ვიზუალური მასალის ოპტიმალურად გამოყენება ნიშნავს ამის მიზანდასახულად კეთებას, სასწავლო გაკვეთილის მიზანთან და ძირითად დავალებასთან კავშირის გათვალისწინებით. ხილვადობის მეთოდი უნდა დაბალანსდეს სხვა მეთოდების გამოყენებით.

- ხილვადობა შეიძლება ახალი სასწავლო მასალის ახსნის დროს იყოს გამოყენებული, ასევე უკვე ნასწავლის განმტკიცებისთვის და შეფასების დროს. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს რომ ვიზუალური მასალის გამოყენება გაკვეთილისთვის გამოყოფილი დროს საგრძნობლად დაზოგვაში გვეხმარება.
- ვიზუალური მასალის დამზადება შეუძლია მასწავლებელს (გამოყენების წინ ან გამოყენების დროს) და ასევე მოსწავლეებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფებში, წყვილებში მუშაობაში). დამზადებულ მასალაში მასწავლებელს თავისუფალი ადგილების დატოვება შეუძლია, რომელიც შემდგომ მოსწავლეს შეეძლება შეავსოს (მიახატოს, მიაწეროს რამე, ან რაიმეს სახელი დაარქვას).
- ვიზუალური მასალის გამოყენების დროს უნდა დარწმუნდეთ, რომ მას ყველა მოსწავლე კარგად ხედავს.
- მნიშვნელოვანია მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფისთვის დამახასიათებელი თვისებების გათვალისწინება, მეხსიერების დომინანტი სახეობები.

თანამედროვე სამყაროში როგორც პედაგოგიის თეორეტიკოსთა, ასევე პრაქტიკოსთა წრეებში დიდი ყურადღება ექცევა ტვინის მოქმედების გამოკვლევას. სწავლების მეთოდების არჩევის და მათი კომბინირების დროს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მეხსიერების 5 ძირითად სახეობა გამოიყოფა: სემანტიკური, ეპიზოდური, პროცესუალური, ავტომატური და ემოციური მეხსიერება.

| | | |
|---|---|---|
| 1. | ***სემანტიკური*** მეხიერება სიტყვებთანაა დაკავშირებული. ეს არის განათლებაში ყველაზე მნიშვნე-ლოვანი, მაგრამ ყველაზე რთულად გამოსაყენებელი მეხსიერების სახეობა. | ***სემანტიკური***, სხვაგვარად ***ვერბალური*** ინფორმაცია არის ის, რომელსაც მოსწავლეები ძირითადად სახელმძღვანელოებიდან, დარიგებული მასალიდან, მასწავლებლის მონაყოლიდან იღებენ. ხანმოკლე მეხსიერებას არ შესწევს უნარი, მიღებული ინფორმაცია შეინარჩუნოს, ამიტომ უპრიანია სასწავლო მასალის ნაწილებად დაყოფა, შემდგომ კი მისი მოსწავლეთა ჯგუფებში განხილვა – ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები სასწავლო მასალას უკეთ აითვისებენ. |
| 2. | ***ეპიზოდურ*** მეხიერებას ადგილის გახსენება განაპირობებს. ჩვეულებრივ, ეს არის ადგილი, სადაც ადამიანი იმყოფებოდა, როცა რაიმეს სწავლობდა. | მხედველობით მეხსიერებაში იმის აღდგენით, რაც კლასში იხილეს (მაგალითად, დაფაზე ნაწერი, პლაკატები, ცხრილები, ასევე კონკრეტული საგნის მასწავლებლის პიროვნება, მისი ჩაცმის სტილი), მოსწავლეები იმახსოვრებენ ასევე კონკრეტულ სასწავლო მასალასაც. |
| 3. | ***პროცესუალური*** მეხიერება უკავშირდება პოზას, დგომას, წონასწორობის შენარჩუნებას და ასე შემდეგ. მეხსიერების ეს სახეობა ძირითადად იმის გახსენებაში ეხმარება ადამიანს, თუ როგორ გააკეთოს რაიმე (მაგალითად, როგორ უნდა ისეირნოს ველოსი-პედით). | მეხსიერების ამ სახეობას ზოგჯერ ასევე „კუნთების მეხსიერებას“ უწოდებენ, რადგანაც იგი ფიზიკურ მოძრაობებს უკავშირდება. მაგალითად, თუ რაიმე მასალის სწავლის პროცესში მოსწავლეებს კლასში გადაადგილების შესაძლებლობა ეძლევათ, ისინი მასალას აუცილებლად უკეთ შეიგრძნობენ და გაიაზრებენ. |

| | | |
|---|---|---|
| 4. | ავტომატური მეხსიერება ინფორმაციის მაგალითებს ინახავს (მაგალითად, ანბანი, გამრავლების ტაბულა, სიმღერის ტექტი). | მუსიკა ითვლება მექანიკური მეხსიერების გააქტიურების საუკეთესო საშუალებად. მაგალითად, რათა გრამატიკის რომელიმე წესი უკეთ აითვისონ, მოსწავლებს შეუძლიათ მისგან რაიმე სიმღერის ტექსტი შექმნან და სიმღერა დაწერონ. |
| 5. | ემოციური მეხსიერება ყველაზე უცნაურია მეხსიერებათა სახეობებს შორის. იგი არ ინახავს სრულ ინფორმაციას, ხოლო ფილტრირებას უკეთებს ანუ გამოყოფს მიღებული ინფორმაციიდან ნაწილს, რომელსაც ემოციური შინაარსი აქვს. თუ ინფორმაცია ასეთი შინაარსითაა დატვირთული, მაშინ მეხსიერება მას ინახავს. | ახალი სასწავლო შინაარსის შეს-წავლა, კარგი იქნებოდა, შეძლე-ბისდაგვარად ხშირად დაკავშირებოდა მოსწავლეების უკვე არსებულ ცოდნას, ამავე დროს - ემოციური კავშირების შექმნა. |




**გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება – ვიზუალური მხარის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხერხი.**

ბილინგვური სწავლისა და სწავლების დროს რატომ არის მნიშვნელოვანი ვიზუალური მხარის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხერხის სხვებისგან გამორჩევა? პასუხის ერთ-ერთი ვარიანტია: იმიტომ, რომ ეს ხერხი კარგად შეესაბამება ორი სასწავლო საგნის სწავლების მიზნებს (მეორე ენისა და რაიმე სხვა საგნის). გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებით, მასწავლებელი უზრუნველყოფს როგორც საგნის მასალის, ასევე ენის ათვისების წარმატებულობას.

*1. გრაფიკული ორგანიზატორები და მათი ფუნქციები:*

გრაფიკული ორგანიზატორები ინფორმაციის სტრუქტურირების ხერხია — მოწესრიგების (დაჯგუფების) უნიშვნელოვანესი ხერხი.

- გრაფიკული ორგანიზატორები ინფორმაციას ვიზუალურად გვაჩვენებენ.
- გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება აქტიურ სწავლას უწყობს ხელს. მაგალითად: საშინაო დავალების (სავარჯიშოების) შესრულების დროს, მოსწავლეები იმ ენას იყენებენ, რომელზეც ლაპარაკობენ, კითხულობენ, წერენ, ისმენენ, ფიქრობენ, ხოლო ინფორმაციის გრაფიკულად

განლაგების დროს ისინი იყენებენ როგორც ნაცნობ, ასევე უცნობ ინფორმაციას.

- გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება მასაწავლებელს და მოსწავლეს შორის თანამშრომლობას, ანუ კოოპერატიულ სწავლებას, უწყობს ხელს,.
- გრაფიკული ორგანიზატორები გვეხმარება ტექსტის ვიზუალურად მოწესრიგებაში (მის გაგებაში). მათი გამოყენება შეიძლება:

1) ტექსტის ან ახალი მსალის წაკითხვის წინ, 2) წაკითხვის შემდეგ, 3) წერის ან დავალების წერილობით შესრულების წინ, 4) ტექსტის ან დავალების განხილვის დროს, 5) დისკუსიის დროს, 6) დასკვნების გაკეთების პროცესში და ა.შ.

- გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება მოსწავლის სასწავლო თემის შესახებ არსებული ცოდნის დადგენაში (გააზრებაში) გვეხმარება, ასევე — ახალი ცოდნის ათვისებისთვის მოსწავლეების მომზადებაში.
- გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენების დროს, მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთისგან სწავლობენ (მასალასაც, ერთმანეთის გაგებას და ერთმანეთთან ურთიერთობას). ბილინგვალური სწავლის პროცესში ასეთ თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მოსწავლეები საკუთარი ცონის სტრუქტურირებას სწავლობენ და, აქედან გამომდინარე, სწავლის საკუთარ სტრატეგიას ირჩევენ.
- გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება როგორც ვიზუალური, ასევე სიტყვიერი (ვერბალური) ინფორმაციის გამოყენებას განაპირობებს. ეს მოსწავლეებს შესაძლებ-ლობას აძლევს, აირჩიონ, ვარირება გაუკეთონ სწავლის სტილს, საკუთარი შესაძლებლობების გათვალიწინებით.

*2. გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებამდე – რამდენიმე თეორიული ცნობა*

1. თუ მნიშვნელოვანი ინფორმაცია იზოლირებულია (გადარჩეული და გამოყოფილი), უფრო ადვილია ცნებების (წარმოდგენების) და მათი ურთიერთკავშირების (თანხვედრების)

დანახვა. ეს ყველაფერს უფრო მარტივად და სწრაფად გასაგებს ხდის.

2. არსებული ცოდნა შესამჩნევად ხდება დაკავშირებული ახალთან.

3. ინფორმაციის გადმოცემის (მიწოდების) დროს ვიზუალური და ვერბალური მასალის გამოყენება უფრო ადვილად დამახსოვრების შესაძლებლობას იძლევა (ლ. ვიგოტსკი).

4. აქტიურად სწავლის დროს: კითხვის, წერის, მოსმენის, ლაპარაკის, ფიქრის გააზრებულ (პირდაპირ) სწავლას უწყობს ხელს.

*3. გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენების უპირატესობები*

1. შეგვიძლია გამოვიყენოთ ისეთ აუდიტორიაში, რომელშიც მოსწავლეების ენის ცოდნის დონე სხვადასხვაა.

2. შეგვიძლია გამოვიყენოთ ისეთ აუდიტორიაში, რომელშიც მოსწავლეების ათვისების უნარის დონე სხვადასხვაა.

3. შეგვიძლია განვავითაროთ და გავაფართოოთ ლექსიკური მარაგი.

4. მოსწავლის ცოდნას აწესრიგებს, ხელს უწყობს მისი დისკუსიის უნარისა და შესაძლებლობის განვითარებას, ასევე საკუთარი აზრის და მის ხელთ არსებული ინფორმაციის გამოთქმას.

5. იმ მოსწავლეთა აზრისა და ენის იტეგრირებას უწყობს ხელს, რომელთაც განსხვავებული (სხვადასხვა) სწავლის სტილი აქვთ.

6. უფრო ხელმისაწვდომს ხდის ნებისმიერი სახის (ესოდენ რთულ, სპეციფიკურ და უცხო) ინფორმაციას (სასწავლო საგანს).

*4. რას უნდა მივაქციოთ ყურადღება გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენების დროს?*

- იპოვეთ და დააფიქსირეთ ძირითადი ელემენტები!

ყურადღება უნდა მიექცეს მთავარ ინფორმაციას, ცნებებს, აზრებს.

ესე იგი, მთავარი უნდა გამოიკვეთოს (უფრო დიდი ასოები ან ნახატები, უფრო მკვეთრი ფერით გახაზული ან გაფერადებული), ნაკლებად მნიშვნელოვანი უფრო პატარა ასოებით, ან სხვანაირად უნდა დაიწეროს (წერის მიმართულების შეცვლა შეიძლება).

- მოსწავლეების არსებული და ახლად შეძენილი ცოდნა გააერთიანეთ!

გრაფიკული ორგანიზატორები სხვადასხვა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების  და ცოდნის დადგენის შესაძ-ლებლობას გვაძლევს, შემდგომ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ახალი ცოდნის მიღების შესაძლებლობას. ეს სწავლის პროცესს რეალურად ამარტივებს და აადვილებს.

- ხელი შეუწყვეთ ძირითადი ლექსიკისა და ზოგადი ცნებების გააზრებას!

გრაფიკული ორგანიზატორები გვიჩვენებენ მთავარ აზრს, შესაბამისი ლექსიკის დახმარებით. დაეხმარეთ მოსწავლეებს ცნე-ბების შემადგენელი ნაწილების (ატრიბუტების) დანახვაში. მიზანი არის გაგება და სწავლა, ამიტომ გამოიყენეთ ისეთი სიტყვების მარა-გი, რომლებიც განმარტავს, აზუსტებს, ილუსტრირებას უკეთებს ინფორმაციას.

- ხშირად გამოიყენეთ წერა, კითხვა, აზროვნება!

მოსწავლეებს რომ გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება ან შედგენა შეეძლოთ, მათ ბევრი უნდა იკითხონ, იფიქრონ და წერონ. როცა მოსწავლეები გრაფიკულად ასახავენ ინფორმაციას ან კამათობენ მის შესახებ, მათ უწევთ მასალის გადაკითხვა, ერთმანეთში მოლაპარაკება, საუბარი, დამტკიცება, შესაბამისად, ხედავენ მოვლენათა ურთიერთკავშირს, ურთიერთობას, მოვ-ლენების განვითარებას, მიზეზებსა და შედეგებს.

- წერა ეხმარება და ხელშემწყობია დაგეგმარებისა და გან-ხილვისა!

გრაფიკული ორგანიზატორები ეფექტური საშუალებაა დისკუსიის პრინციპით მუშაობის, გეგმის შედგენის, წერის ორგანიზების დროს. ყველაფრის ჩაწერის შემდეგ შეგვიძლია ნაშრომის შინაარსის დაჯგუფება და გადახარისხება.

- განავითარეთ მიმდინარე დისკუსია!

გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება აზრებს მიმართუ-ლებას აძლევს. მოსწავლეები ავთენტურ ენას ხმარობენ – ინტერპრეტირების, ანალიზის, პრობლემის გადაწყვეტის, და-თანხმების, არდათანხმების, თანამშრომლობის, შეცდომების დაშ-ვების დროს – სასწავლო მასალიდან რომელიმე სპეციფიკური თე-მის შესწავლის პროცესში.

- ინსტრუქციების ან გრაფიკული ორგანიზატორების მიცემის დროს თქვენ ეხმარებისთ დაგეგმვაში.

გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებით მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს მთავარს რაიმე თემის, ცნების შესახებ და ხერხს, თუ როგორ შეიძლება ახალი ინფორმაციის ათვისება.

იგი ფაქტობრივად რჩევას ან ინსტრუქციას იძლევა, თუ როგორ შეიძლება სწავლის გაგრძელება (როგორ შეიძლება ამ თემის ათვისება).

- გრაფიკული ორგანიზატორები შეფასების ინსტრუმენტია. გრაფიკული ორგანიზატორები მოსწავლის ცოდნის, შეგნების, სწავლის, ფიქრის დონის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა.




:

**გრაფიკული ორგანიზატორები ეხმარება:**






*5. რა უნდა გავითვალისწინოთ გრაფიკული ორგანიზატორების შედგენის დროს?*

კარგად შედგენილი ვიზუალური მასალა, მათ შორის გრაფიკული ორგანიზატორები, ინფორმაციისა და აზრის სტრუქტურირებას ეხმარება.

მაგალითად:

ცნებები ოპტიმალური თანმიმდევრობით არის დაჯგუფებული;

ძირითადი საკითხების შერჩევა უფრო იოლია;

შესაბამისი ინფორმაცია სრულადაა შეტანილი;

თემიდან გადახვევის ნაკლები შესაძლებლობაა.

მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ სახელმძღვანელოებში მოცემული ან მასწავლებლის მიერ დამზადებული ვიზუალური მასალა გამოვიყენოთ, არამედ მოსწავლეებსაც მიეცეთ მისი დამზადებისა და შედგენის შესაძლებლობა; ამ გზით ისინი აქტიურად ითვისებენ, განიმტკიცებენ ან იმდიდრებენ ცოდნას და სწავლის სხვადასხვა უნარს.

რამდენიმე რჩევა გრაფიკული ორგანიზატორების შესადგენად:

1) ყველაზე კარგი ვიზუალური მასალა მარტივია, ამიტომ გამოიყენეთ არა უმეტეს:

- 3 ძირითადი იდეისა,
- 3 ვერტიკალური ცხრილისა,
- 3 ფერისა;

2) ნუ წერთ ხელწერით, ბეჭდეთ;

3) გახსოვდეთ, რომ თქვენ მიერ შედგენილ ვიზუალურ მასალას რამდენიმე მეტრის დაშორებიდან უნდა უყურონ, ამიტომ შეძლებისდაგვარად აირჩიეთ ასოების ყველაზე დიდი ზომა;

4) შეგიძლიათ მასალა მოსწავლეებსაც დაურიგოთ, რათა დამოუკიდებლად თუ ჯგუფებში მუშაობაც შეძლონ.

*6. როგორ შეიძლება ინფორმაციის ორგანიზება? (გრაფიკული ორგანიზატორების სახეობები)*

ჩვეულებრივ, გრაფიკულ ორგანიზატორებს ტექსტის ან შინაარსის ორგანიზებისთვის იყენებენ. ინფორმაციის გრაფიკებს ყველაზე ხშირად ასე უკეთებენ ორგანიზებას: **იერარქიულად, კონცეპტუალურად, თანმიმდევრულად, ციკლურად.** ყველაზე ტიპობრივია **იერარქიული** ხერხი.

ეს ხერხი თავის თავში ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, დონეებს, საფეხურებსა და მათ ქვედანაყოფებს მოიცავს. მას იყენებენ გასანზოგადებლად და კვალიფიცირებისთვის.

მაგალითი:
ჩვეულებრივ, როგორ იყენებენ ადამიანები ბუნებას?




კონცეპტუალური ხერხი თავის თავში მოიცავს ცენტრალურ იდეას, კატეგორიას, ფაქტს, რომელსაც კონკრეტული მაგალითები, სიდიდეები და ამდაგვარი ახასიათებს. ჩვეულებრივ, მას იყენებენ, რათა აღწერონ, დაახასიათონ, შეაჯამონ, გადაწყვიტონ პრობლემა, შეადარონ (მსგავსი და განსხვავებული).

მაგალითი:




კონცეპტუალური გრაფიკული ორგანიზატორის სახეობებია ვენის დიაგრამა და ეგრეთ წოდებული „სამყურას ფოთლის“ დიაგრამა.



ვენის დიაგრამა



“სამყურას ფოთლის” დიაგრამა

ვენის დიაგრამას, ჩვეულებრივ, იყენებენ ორი სხვადასვა წყაროდან მიღებული ერთი ფაქტის, მოვლენის, პრობლემის, ტექსტის და ა.შ. შესახებ ინფორმაციის შესადარებლად (ან – ერთი სახის ინფორმაციის ორი სხვადასხვა ობიექტის შესახებ). ინფორმაციას აჯგუფებენ: მსგავსი და განსხვავებული.

თუ ადარებენ სამ სხვადასხვა ობიექტს, იკვეთება „სამყურას ფოთლის“ დიაგრამა.

მაგალითები:



შეადარეთ ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა!
დაწერეთ, რა არის მათთვის საერთო:




1. – ლატვიისთვის,
2. – ლიტვისთვის,
3. – ესტონეთისთვის,
4. – ლატვიისთვის და ლიტვისთვის,
5. – ლატვიისთვის და ესტონეთისთვის,
6. – ლიტვისთვის და ესტონეთისთვის,
7. – ლატვიისთვის, ლიტვისთვის და ესტონეთისთვის.

კონცეპტუალური გრაფიკული ორგანიზატორი ასევე ხასიათდება, როგორც დამგეგმარები ორგანიზატორი.

მაგალითი:




ინფორმაციის მოწესრიგების თანმიმდევრული ხერხი ითვალისწინებს მოვლენების, სიტყვების ქრონოლოგიის მიხედვით

მოწესრიგებას – დასაწყისიდან ბოლომდე, მოვლენების წარმოშობის მიზეზების და შედეგების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, საბოლოო პროდუქტის შედგენის პროცესში, პრობლემის გადაწყვეტის კავშირები – ყოველთვის სწორხაზოვნად.

1. მაგალითი:
ზღაპარ „წითელქუდას“ მოვლენების თანმიმდევრობის დაწერა!

| | |
|---|---|
| 1. | წითელქუდა გაემგზავრა ბებიასთან, რომელიც ავადაა. |
| 2. | მგელთან შეხვედრა ტყეში. |
| 3. | მგელი და ბებია. |
| 4. | წითელქუდას გაოცება და შეცვლილ ბებიასთან საუბარი. |
| 5. | მონადირე კლავს მგელს. |
| 6. | გადარჩენილი ბებია ისევ წითელქუდასთან ერთად არის. |
| 7. | ის, რაც წითელქუდამ ამ ამბის შედეგად ისწავლა. |

2. მაგალითი: მიზეზები და შედეგები
ჰაერის დაბინძურება ევროპაში




ჩამოწერეთ გოგირდიანი წვიმების წარმოშობის მიზეზები და გოგირდიანი წვიმით წარმოქმნილი ცვლილებები ბუნებაში!

3. მაგალითი:
პრობლემების გადა

| რა ხდება? | როგორ მოიქცნენ? | რა მოქმედებაა შესასრულებელი | ადამიანები რომელთაც უნდა გამოასწორონ მდგომარეობა |
|---|---|---|---|



ინფორმაციის ქრონოლოგიური წესით მოწესრიგების, ასევე მოვლენების დასაწყისის, განვითარების, მატების, კულმინაციების, ვარდნის და მოგვარების გრაფიკულად აღნიშვნის შედეგად სიუჟეტურ დიაგრამას ვიღებთ.

4. მაგალითი: 1905-1907 წლების რევოლუცია ლატვიაში



ინფორმაციის ციკლურობის მიხედვით მოწესრიგების ხერხი ითავსებს მოვლენათა სერიულობის, გამეორების პროცესის ასახვას, ციკლურობას. მას არ აქვს დასაწყისი და დასასრული, მხოლოდ მოვლენების განმეორება. ეს მეთოდი ინფორმაციას ახასიათებს, როგორც სერიულს, ბორბალს (წრეს), უწყვეტი თანმიმდევრობით.

მაგალითი:



## გრაფიკული ორგანიზატორების სახეობები

1. დამგეგმარები



2. იერარქიული



3. კონცეპტუალური



4. თანმიმდევრული



5. ციკლური



6. მიზეზ–შედეგობრივი



7. სიუჟეტური დიაგრამა



8. ვენის დიაგრამა



9. “სამყურას ფოთლის” დიაგრამა



## გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ბოდანსკი. სწავლების მეთოდები თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში – 1989წ.
2. ი. კომენსკი. დიდი დიდაქტიკა – 1992წ.
3. პედაგოგიური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი – 2000წ.
4. ე. სმიტსი. დაჩქარებული სწავლება კლასში 2000წ.

## 5.3. აუდიტორიასთან წარმატებული მუშაობა

***ტომს ურძე,***
*ლატვიის ზრდასრულთა განათლების*
ასოციაციის თავმჯდომარე

ეს ნაშრომი შეიცავს სასარგებლო რჩევებს და იდეებს იმის შესახებ, თუ როგორ დავაინტერესოთ მსმენელები, ინფორმაციის მიწოდების როგორი ხერხები და მეთოდები ავირჩიოთ, როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები.

**როგორ მივაწოდოთ ინფორმაცია?** ნებისმიერი პედაგოგის (ასევე მასწავლებლის) სამუშაო შეგვიძლია გავყოთ კომუნიკაციის ორ სახეობად: ცალმხრივად და ორმხრივად. მაგალითად, ინფორმაციის ლექციის სახით მიწოდების დროს, კომუნიკაცია ერთი მიმართულებით ხორციელდება - მსმენელებს პასიური როლი ენიჭებათ, პროცესში მათი ჩართვის შესაძლებლობა მინიმალურია. აქტიური მეთოდები, მაგალითად, ჯგუფში მუშაობის ან პროექტების მეთოდის გამოყენება, აუდიტორიას სასწავლო პროცესში მონაწილეობის საშუალებას აძლევს - კომუნიკაცია ორი მიმართულებით ხორციელდება, ყალიბდება დიალოგი.

მოსწავლეების არსებული ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება უზარმაზარი რესურსია, რომლის გამოყენებაც ძალიან სასურველია სასწავლო პროცესში. აქედან გამომდინარეობს, რომ გაკვეთილების „ხელმძღვანელს“ ორი ფუნქცია აკისრია: ინფორმაციის მიწოდება და მოსწავლეებისთვის ინფორმაციის გაცვლის პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა (ხელმძღვანელი იქცევა საუბრის მმართველად, ორგანიზატორად, წამახალისებლად).